

# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge

**პატრიარქის ლოცვა სიძველეს აპირსხებს!**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გონივრულად დაფიქრდა. მან ზღვაში დაკარგული სამხედრო მოსამსახურეების სსონის პატივსაცემად დაგეგმილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. პატრიარქმა დაკარგული სამხედროების ოჯახის წევრები მოინახულა და დალოცა.

„მე მოვედი იმისთვის, რომ თქვენთან ერთად ალვაველინო ლოცვა. ღმერთმა მალე გამოაჩინოს ისინი, შევნიროთ მადლობა უფალს, რომ მთელი საქართველო თქვენს გვერდით დგას. მთელი საქართველო წუხს, რომ ჯერჯერობით ვერ ვნახეთ, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ მათ ცოცხლებს ვიხილავთ. ღმერთმა დალოცოს ისინი და მალე დააბრუნოს საქართველოში. ღმერთი მონყალა და იმედი, ჩვენი ლოცვა იქონიებს დიდ ძალას და ჩვენ ვნახავთ მათ ჩვენს სახლებში. ჩვენთან არს ღმერთი“, – თქვა ილია მეორემ.

პარასკევი, 2 სექტემბერი. 2016 წ. №163 (8055), გამოცემის 98-ე წელი ფასი 50 თეთრი.

## გამარჯვებული „შერეკილები“



ის, რომ თქვენი გამარჯვების სიმბოლო არის ფილმ „შერეკილების“ ძალიან ცნობილი საფრენი აპარატი,

**გიორგი კვირიკაშვილი: მემკვიდრე, რომ საქართველოში დღეს არის საშუალება, აღამიანა ნულიდან დაიწყო ბიზნესი...**

სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ არც ერთი იდეის არ უნდა შეგეშინდეთ, – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ ინოვაციური კომპონენტის 36 გამარჯვებულს, რომლებიც დღეს დაჯილდოვდნენ.

მთავრობის მეთაური მოხარულია, რომ ქვეყანაში სამწარმოო სფეროში ტენდენციების განვითარების იდეას ხორცი შე-

ესხა და კიდევ 36 დამწყები ბიზნესმენი დაფინანსდა, ხოლო, „სტარტაპ საქართველოს“ მაღალტექნოლოგიურ კომპონენტს 20 გამარჯვებული ჰყავს.

„ეს არის ჩემთვის პირადად ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, თუკი რამ წამომიწყია ცხოვრებაში და ნამდვილად მემკვიდრეა, რომ საქართველოში დღეს არის საშუალება, აღამიანა ნულიდან, მართლაც არაფრიდან, მხოლოდ საინტერესო იდე-

აზე დაყრდნობით დაიწყო ბიზნესი. ძალიან მახარებს, რომ საქართველოში უკვე შეიქმნა და ფუნქციონირებს ეკოსისტემა, სადაც ახალი, ინოვაციური იდეები ხორცს იხსამს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, დამწყები ბიზნესის ხელშეწყობა ეს მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. პრემიერმა მადლობა გადაუხადა სპარტნიორ ფონდს, ეკონომიკის სამინისტროს და ყველა აღამიანს, რომელთა მეშვეობით, ეს სისტემა ძალიან მოკლე პერიოდში ჩამოყალიბდა. მთავრობის მეთაურმა ასევე გამარჯვება მიულოცა ყველა დამწყებ ბიზნესმენს, ხოლო მათ, ვინც დაფინანსება ამ ეტაპზე ვერ მოიპოვა, წარმატებები უსურვა.

„სტარტაპ საქართველოს“ 56 გამარჯვებული ჰყავს. კონკურსის შემდგომი ეტაპი, დაფინანსების მოპოვებისთვის, 20 სექტემბრიდან გამოცხადდება.

## გაზათის ეს ნომერი ქსელში 9 საქმეებზე გაიყიდა

# ქართული, მხოლოდ ქართული გზა!

## ვიაყაყოთ, ღავაფასოთ, მოვუსვინოთ!

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ჰყავს ისეთი მოღვაწეები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები და მეცნიერები, რომლითაც იამაყებდა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა. ჩვენ ამ ხალხის შესახებ მუდმივად ვისაუბრებთ, სწორედ იმ განწყობით, რომ ვიამაყოთ, დავაფასოთ და მოვუსვინოთ.

ბატონმა მერაბ ბერძენიშვილმა უნიკალური რამ გვიტოვრა: ნონა გაფრინდაშვილი კინოთეატრშიც რომ შევა, ყველანი ფეხზე უნდა წამოვუდგეთო.

ეს არის საქართველო.

როცა გყავს: ნინო ანანიაშვილი, მედეა ამირანაშვილი, ლილა აბაშიძე, ვაჟა აზარაშვილი, რეზო ადამია, რეზო ამაშუკელი, თენგიზ არჩვაძე, ლადო ათანელი, თემურ ბაბლუანი, გიგა ბათიაშვილი, მერაბ ბერძენიშვილი, ელგუჯა ბერძენიშვილი, ნანი ბრეგვაძე, გივი ბერიკაშვილი, გია ბურჯანაძე, თამაზ გამყრელიძე, თამარ გვერდნიძე, არნოლდ გეგეჭკორი, ელდარ გენაძე, რისმაგ გორდენიანი, თემურ გოცაძე, გია გუგუშვილი, თემურ გუგუშვილი, გურამ დოჩინაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, რეზო ესაძე, ელისო ვირსალაძე, შოთა ზოიძე, გურამ თევზაძე, გივი თოიძე, რადიშ თორდია, თამარ იგერი, ლიანა ისაკაძე, კახი კავსაძე, ზაურ კალანდია, რენე კალანდია, ლიანა კალმახელიძე, ლია კაპანაძე, იმედა კახიანი, მერაბ კოკოჩაშვილი, მარიკა ლორთქიფანიძე, გურამ ლორთქიფანიძე, ჟანრი ლოლაშვილი, ნინო მაჩაიძე, შალვა მოქერია, როინ მეტრეველი, დავით მუსხელიშვილი, თენგიზ მუშკუდიანი, ომარ მხეიძე, ენვერ ნიჟარაძე, გია ონიანი, ანიტა რაჭველიშვილი, რობერტ სტურუა, ლია სტურუა, ზურაბ სოტკილაძე, რამაზ სურმანიძე, ცისანა ტატიშვილი, გრივერ ფარულავა, ეთერ ქემერტელიძე, მზექალა შანიძე, ელდარ შენგელაია, გიორგი შენგელაია, გოგა შვაცაბაია, ზურაბ წერეთელი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თემურ ჩხეიძე, გივი ღამბაშიძე, ტარიელ ჭანტურია, ალექო ხომერიკი, ტარიელ ხარხელიანი, ზურაბ ყიფშიძე, ნონა გაფ-

რინდაშვილი, რომან რურუა, როსტომ აბაშიძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, გიორგი ასანიძე, თემურ აფხაზავა, ზარბეგ ბურიაშვილი, ვახტანგ ბლაგიძე, ნინო გურიელი, გურამ გედევანი, დავით გობეჯიშვილი, ესტატე გოგლიჩიძე, ნიკოლოზ დერიუჯინი, ზურაბ ზვიადაური, ლევან თედი-აშვილი, ნანა იოსელიანი, გიორგი კანდელაკი, კახი კახიაშვილი, მანუჩარ კვიციანი, ელდარ კურტანიძე, ქეთევან ლოსაბერიძე, მისხეილ მაშიაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, თამაზ მაჭარაშვილი, ლევან მოსეშვილი, ლევან ნოდია, რამაზ ნოზაძე, მისხეილ სალაძე, ნინო სალუქვაძე, გურამ სალარაძე, ლაშა ტალახაძე, ზაზა ფაჩულია, თემურ ყაზარაშვილი, მათა ჩიბურდანიძე, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხაბარელი, ლერი ხაბელოვი, დავით ხახალეიშვილი, ელადიმერ ხინჩეგაშვილი, თემურ ხუბულური, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი...

უნდა ამაყობდე ამ ხალხით და მათი გამოლიტო-სება და გაპარლამენტარება კი არ უნდა გინდოდეს, არამედ ისეთი პარლამენტი და საერთოდ, ხელისუფლება, რომელმაც იცის ამ ხალხის ფასი, ვინც იცის საქართველოში პედაგოგის ფასი, ვინც იცის საქართველოში ექიმის ფასი, მეცნიერის ფასი, ვინც იცის გლეხის, მუშის ფასი.

და კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი: ბიზნესმენი კი არ უნდა გინდოდეს პარლამენტში, ეს ქვეყნის დაქვევის მაჩვენებელია. ჩვენ სერიოზულად უნდა გვაფიქრებდეს ბიზნესმენტა დღევანდელი ლტოლვა პარლამენტისკენ. ეს არის დასტური იმისა, რომ მართვის სისტემა ავადმყოფი, რომელიც ბიზნესმენს აიძულებს, შევიდეს პარლამენტში, რადგან გადარჩენის სხვა გზას ვერ პოულობს, ან აღარ დავუტოვებ.

ისეთი პარლამენტი უნდა გვინდოდეს, რომელმაც იცის ბიზნესის და ბიზნესმენის ფასი და ქვეყანაში მართვის ისეთი სისტემა უნდა იყოს, რომ ბიზნესმენი პარლამენტარობაზე არ ფიქრობდეს.

ასეთი საქართველო გვინდა! ასეთი პარლამენტი და ასეთი ხელისუფლება.

**მეცნიერთა  
საინისიატივო  
ჯგუფი პროვინული  
თანხმობის  
პარლამენტისთვის**

ჩვენ ერთად უნდა ვეძებოთ ეს აღამიანები და უნდა შევქმნათ მართვის ისეთი სისტემა, რომელიც კი არ ებრძვის ძლიერს, არამედ ეძებს მას. ჩვენ ასე შევქმნით 21 - ე საუკუნის დიდგორის ლაშქარს. რომელიც იქნება ერთ მუშტად შეკრული სიკეთე, სიძულვილის სიყვარულით დასამარცხებლად.

**მოგავლისათვის**

ჩვენ ძალიან გვანუხებს, რომ საქართველოს სახელისუფლებო ინსტანციებმა უყურადღებოდ დატოვეს ქართული კულტურის მოღვაწეების ღრმა წინადადება შოთა რუსთაველის 850 წლისთავისა და ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის ერთ დიდ ქართულ პროცესად გადაქცევის თაობაზე. წელს შესრულდა დიდი მწერლის 850 წელი... ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს შეძლეს დიდი პოეტის 800 წლისთავის პრაქტიკულად მსოფლიო მასშტაბით აღნიშვნა. ეს, მართლაც მსოფლიო დღესასწაული იყო. დამოუკიდებელ საქართველოში – დანაშაულებრივი სინყნარეა ამ უდიდეს მოვლენასთან დაკავშირებით... არჩევნები და სკამათის ბრძოლა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა...  
ასე გაბრძნობა აღარ შეიძლება!

№ 5 83

ხალხი იწონებს ქართული TV-ის პოპოლარს

**ჩვენ** არ ვიცით, რას ნიშნავს სახელმწიფო გელევიზია. ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს ოპოზიციური გელევიზია. ჩვენ ვიცით მხოლოდ მართალი გელევიზია!

№ 7-7 83

# ბიძინა ივანიშვილი: ვაჟაყობ, რომ ანალიზი შეგიძლია... არ არსებობს, რომ ვინმე დავზოგო!

„ქართული ოცნება“ არ არის ჩემთვის დოგმა და რაღაც პარტია, რომელზეც მე ვოცნებობ. ის არის დღეს, საუბედუროდ ერთადერთი, ვისაც შეუძლია ქვეყნის იმ სტანდარტებით მართვა. სააკაშვილს, რომელიც თავის დროზე მაღლობებს მიხდოდა, ვეუბნებოდი, მაღლობას ნუ მიხდი, მე ამას საშენოდ არ ვაკეთებ, სანამ შენ ჩემი ქვეყნისთვის სასარგებლოდ იქცევი, სანამ პოზიტიურად მიგყავს ქვეყანა, მე შენ მხარში დაგიდგები და თუ არა პირველი მე დაგიდგები წინ. „ქართული ოცნება“ და კვირიკაშვილი დღეს ამას ნამდვილად არ იმსახურებს, მაგრამ, ზოგადად შემიძლია ვთქვა, თუ ეს სტანდარტები დაირღვევა, ვამაყობ, რომ ანალიზი შემიძლია და სხვაზე ადრე დავინახავ, არ არსებობს, რომ ვინმე დავზოგო“, – განაცხადა საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ბათუმში, GDS-ის ახალი გადაცემის ფორმატში სტუმრობისას, სადაც ის რეგიონალურ მედიას სვდებდა.

## მთავარი „ნაციონალური მოძრაობა“ სწორად გურჯულაქა „ბირჩი“ და ვაჟაყობ

შურნალისტი კითხვაზე, განიხილავს თუ არა ბიძინა ივანიშვილი ბურჭულაძის „ბირჩისა“ და ვაშაძის გაერთიანებას ნაციონალური მოძრაობის ფრთად, ყოფილი პრემიერი აცხადებს:

„ვფიქრობ, რომ მთავარი ნაციონალური მოძრაობა სწორედ ეს არის, სადაც სააკაშვილმა ნაღები ძალები გაერთიანა. ვაშაძე კარგად ვიცით, ბოლო წლებში რა აქცენტებსაც აკეთებდა, ბურჭულაძის და მისი განცხადებებიც გაიხსენეთ თავში. მისი განცხადებები ემთხვეოდა ნაციონალური მოძრაობის სტრუქტურას, მიზანმიმართულად და მისი ძმა ულაგბენდენ მას. დღესაც ნახეთ გაერთიანება როგორ მოხდა“, – განაცხადა ივანიშვილმა.

## 2012 წლის არჩევნები ხალხის ნიშნით იყო

„რობერტ სტურუა სამჯერ ამოვიდა მაშინ ჩემთან და მეუბნებოდა, რომ იცოდე უსისხლოდ ამათ ვერ გაუშვებო“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის არჩევნების შეფასებისას.

„რობერტ სტურუა სამჯერ ამოვიდა მაშინ ჩემთან და მეუბნებოდა, რომ იცოდე, უსისხლოდ ამათ ვერ გაუშვებო. ბოლოში გაოცებული იყო, რა მოხდა და რა მოახერხეთო. გარწმუნებთ, რომ გუნდის ბევრმა წევრმა ჯერ კიდევ არ იცის და არ შეუფასებიათ, რა მოხდა იმ არჩევნებში. ცოტა გვიან, დრო რომ გავა, 10 წლის შემდეგ მინდა კიდევ დამატებითი შეფასება გავაკეთო, როგორი მენეჯმენტი მოვახერხე და გავაკეთე. აგზნებულ გუნდს, ყველაფერზე წამსვლელ „ნაციონალური მოძრაობას“ არ მივეცი ქვეყნის დანგრევის საშუალება. ბოლოს ცდილობდნენ იმის გაფორმებას, თითქოს ხელი-სუფლება მშვიდობიანად გადააბარეს. კი არ გადააბარეს, გადავაბარებინეთ და მეტი გზა არ დავუტოვეთ. ეს იყო სწორედ ხელოვნება. მე მონაწილე და ლიდერი ვიყავი ამ პროცესებში და ეს მაძლევს უფლებას, ამომრჩეველს შევასწავლო, რომ მე კარგი როლი ვითამაშე და ესეც უმატებს ჩემს სიტყვებს ფასს“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

## „პარლამენტში „ქართული ოცნების“ 100-მდე დეპუტატი უკმა“

საპარტიო ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ვარაუდობს, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარლამენტში „ქართული ოცნების“ 100-მდე დეპუტატი უკმა.

„აჭარაში „ქართული ოცნების“ დეპუტატების რაოდენობა 15 იქნება, პლუს-მინუს 10-12% და თუ ადრე ვთქვი, რომ საქართველოს პარლამენტში 95 დეპუტატი იქნებოდა, დღეს დავამატებდი და ვიტყვოდი, რომ 100 კაცი იქნება საშუალოდ. ვერ წარმომიდგენია, 90-ზე ნაკლები შევიდეს პარლამენტში. უფრო ნაკლებად წარმომიდგენია 90, ვიდრე 115. საშუალოდ 100 დეპუტატი ეყოლება „ქართულ ოცნებას“, რადგან საზოგადოება არის აზრიანი“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

კითხვაზე რა აძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ „ქართული ოცნება“ პარლამენტში 100 დეპუტატს შეიყვანს ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის პარტია, რომ



მელსაც შეუძლია სახელმწიფოებრივად აზროვნება. „ერთადერთი ლიდერი გიორგი კვირიკაშვილია, რომელსაც ხელენიფება სახელმწიფო დონეზე აზროვნება. „ქართულმა ოცნებამ“ 4 წლის განმავლობაში უამრავი გარდაქმნა განახორციელა საქართველოში“, – განაცხადა ივანიშვილმა.

## საკაშვილი, პრაქტიკულად, შემოუკლავ რუსეთის ჯარებს საქართველოში

საპარტიო ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი პრაქტიკულად შემოუკლავა რუსეთის ჯარებს 2008 წელს.

მანამდე სამშვიდობოები იდგნენ, დღეს მივიღეთ ოკუპირებული ტერიტორიები.

„აბა, ის იყო კონსტრუქციული ურთიერთობა რუსეთთან რუსული ჯარი რომ შემოიყვანა სააკაშვილმა. სწორედ ის შემოუკლავა რუსეთის ჯარებს პრაქტიკულად. ნახეთ დანიელ ფრიდის ინტერვიუ, რომელიც რამდენიმე დღის წინ იყო, რომ მას არ უნდა დაეყოქა ტექნიკა, არ უნდა გაეღრმავებინა პრობლემა. რუსეთის ქმედებას არ ვამართლებ, მაგრამ არ უნდა გაეკეთებინა სააკაშვილს სისულელები. რომ არა მისი და „ნაციონალური მოძრაობის“ სისულელები, რუსეთი ვერ შემოვიდოდა და იმ სიტუაციას მაინც შევინარჩუნებდით, რაც არსებობდა მანამდე“, – განაცხადა ივანიშვილმა ტელეკომპანია GDS-ის ეთერში.

## იპოთეკარების თანაბრების მიზნით გაიშვება ახალი ვერსიის ვერ ვინახეთ

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, იპოთეკარების პრობლემაზე გამოსავალი ვერ მოიძებნა, ვინაიდან მეორე მხარეს ბანკები დგანან. დაპირება კი, რომლის მიხედვითაც იპოთეკარებს კრედიტებს მისცემდა, როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, არასოდეს გაუცია. მიხედვით, იპოთეკარების პრობლემის მოსაგვარებლად 6 მილიარდზე მეტია საჭირო, რომელიც ბიუჯეტში არ არის.

„რაც შეეხება იპოთეკარებს, არ ყოფილა დაპირება, რომ დავუზღავდით, გავუგრძელებდი და კრედიტებს გავცემდი. მე ყოველთვის ვამბობდი და დღესაც გავიმეორებ, რომ ეს არის რთული პრობლემა და ეს არ არის მხოლოდ აჭარის პრობლემა, ეს პრობლემა დგას მთელ საქართველოში. საბაძე ამ მხრივ იყო გამორჩეული და მხარს ვუჭერდი საბაძეს, სადაც შესაძლებელი იყო გახანგრძლივება, ეს მოხდა. მეც მხარს ვუჭერდი ამაში, მაგრამ ძალიან ბევრი გავაკეთე-თქო, ვერ დავიტრიალებთ. იპოთეკური პრობლემა არის ძალიან დიდი პრობლემა საქართველოსთვის. ჯანდაცვაში მოხდა საოცრება, ძირითადი რესურსები აქეთ წავიდა. ბევრი იპოთეკარი სწორედ ამ მიზნით არის იპოთეკარი, რომ მან სახლი ჩადო მკურნალობისთვის. ძალიან რთულია ეს პრობლემა. ახალი მთავრობაც გააგრძელებს ამ კუთხით მუშაობას თუ რაიმეს გაკეთება შეიძლება. შესვენებები მქონდა, მაგრამ ის, რომ მე დავპირდი, კრედიტებს მივცემდი და სესხს გავუგრძელებდი, ასე არ ყოფილა“ – განაცხადა ივანიშვილმა.

## საკაშვილის წასვლაზე მოსამართლეებმა იბრძნეს თავისუფლება

ბიძინა ივანიშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა და გა-

ნაცხადა, რომ „შაპუაშვილის წასვლამდე მოსამართლეებმა იგრძნეს თავისუფლება“. მან სასამართლოს კონტროლის მცდელობასთან დაკავშირებით ოპოზიციის შეფასებებსაც უბასუხა.

„ძალიან ცუდია, რომ მოსამართლეები საჯარო სივრცეში ახერხებენ, ერთმანეთს უბასუხონ. ამავდროულად, თუ ვინმეს აქვს ანალიზის უნარი, ძალიან კარგად შეუძლია გაიგოს, რა ხდება რეალურად, თუმცა მე თავს შევიკავებ, რამეთუ სასამართლოა და ყველაზე დიდ სირთულედ და ყველაზე დიდ მონაპოვრად სასამართლო მიმაჩნია. ნახეთ, როგორ ექცევიან საერთო სასამართლოს, მხოლოდ ერთი მიზეზით – ვეღარ იყენებენ ისე, როგორც იყენებდნენ.

ყველაფერს მე მაბრალებენ, ივანიშვილია ყველაფრის მტერი და დამაქცევარი ამბობენ, რის საფუძველზე და რისთვის უნდა ვაკონტროლებდე სასამართლოს? რატომ მჭირდება სასამართლოს კონტროლი? ჩვენ უნდა ავაშენოთ დემოკრატიული სახელმწიფო და აქ სასამართლოს აქვს ლომის წილი. სასამართლოში არის პრობლემები, მაგრამ ნახეთ შედარება, რა იყო ადრე და რა არის დღეს. იმითმე ამბობენ ივანიშვილი აკონტროლებს, რომ თვითონ ვერ იყენებენ, მე რაში მჭირდება? ანდა კიდევ, თუკი ვინმე კანონმა დასაჯა, იმ წუთში ამბობენ, ივანიშვილმა დასაჯაო, – ერთადერთი ამ შემთხვევაში ჩემზე შეიძლება იმ მხრივ გაკეთდეს აქცენტი, რომ სტანდარტები, რომელიც დავტოვე გუნდში, მოსამართლეებმაც დაინახეს. დღეს მთავრობა სასამართლოს არ აკონტროლებს და არც აქვს ამის მცდელობა გიორგი კვირიკაშვილს“, – განაცხადა ივანიშვილმა.

## ნარკოტიკების საზოგადოებასთან კომუნიკაციის პრობლემა გაუჩნდა

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით: „გამოჩნდა, რომ ნარკოტიკების საზოგადოებასთან კომუნიკაციის პრობლემა გაუჩნდა და გამოჩნდა სხვა დანარჩენი, ნარკოტიკების შეფასებისას უნდა ვნახოთ, რა გაკეთდა თბილისში. როგორი ქალაქი ჩაიბარა და დღეს რა ხდება. იქაც იმავეს ამბობენ, რასაც აჭარაზე, რომ გაჩერდა ყველაფერი. ამ დროს, თუ ციფრებს შევხედავთ ყველაფერი პირიქითაა. მშენებლობა გინდა, გზები გინდა, ყველაფერი გაცილებით მეტი შენდება და კეთდება, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობის“ დროს. ესაა პასუხი“.

## ახლა როცა ახანდა დაიკრავს 100 საწარმო. აღარაფერს ახსენებს ამას

შურნალისტი კითხვაზე, რომ ოპონენტების შეფასებით, აჭარა „დაბაუზებულია“, ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ გაჭირვებულ ადამიანები ევროპაში, აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში არიან. ივანიშვილის მტყიცებით, აჭარაში მშენებლობის მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით 70%-ით გაიზარდა. მისივე თქმით, პრემიერობის პირველივე დღიდან ეკითხებოდნენ, სად იყო დაპირებული 100 საწარმო, თუმცა ახლა როცა აშენდა, აღარაფერს ახსენებს ამას.

ივანიშვილი თვლის, რომ მასიურად ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, თუმცა შეიძლება ყველამ მიიღო და ეს ფაქტია.

„ოპონენტები ძალიან აზოგადებენ თავის კითხვებს, მე მასსოვს როცა შურნალისტებთან ციფრებზე და სტატისტიკაზე ვსაუბრობდი, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მართული მედიასაშუალებები მეუბნებოდნენ, რომ გავსულიყავი რეგიონებში და მენახა, რამდენი გაჭირვებული ადამიანია. მე გარწმუნებთ, რომ ევროპულ, განვითარებულ ქვეყნებში, აშშ-ში შურნალისტები თუ ჩაბრძანდებიან, გაჭირვებულ ადამიანებს იქაც იპოვით. თუმცა მე არ მაქვს პრეტენზია იმის, რომ ჩვენი ეკონომიკა განვითარებული ევროპის ქვეყნების ეკონომიკას შევადარო, მაგრამ ასეთი განზოგადება არ შეიძლება. მე ყველაზე კარგად ვიცი და საქართველოში ყველამ იცის, რომ საქართველოში ბევრი გაჭირვებული ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ მთავრობის მოღვაწეობის რეალური შეფასება არ არის, როცა ამბობენ, რომ აჭარა გაჩერდა, როგორ გაჩერდა, როცა ამდენი ინვესტიცია შემოვიდა, ტურიზმი გაიზარდა, თუ 8 წელიწადში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 200 სასტუმრო ააშენა, 4 წელიწადში 170 სასტუმრო აშენდა და დამატებითი სამუშაო ადგილები გაჩნდა. 41 ახალი საწარმო გაიხსნა და 5 გარემონტდა“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

# ყველაზე ყბადი, მყვირალა და კუბლიკის წინაშე მოთაბაზე ჩინოვნიკი

## ახე აფასებს აზერბაიჯანის პოპულარული გამოცემა სააკაშვილის მუშაობას ოქტომბრის გუბერნატორის პოსტზე

ბაქოს პოპულარული გამოცემის „ჰაქინე.აზ“-ის სპეციალური კორესპონდენტი კიპრიდან ირინა მისხილიანოვა აზერბაიჯანულ მკითხველს ოქტომბრის გუბერნატორის, საქართველოს მსახურად მსახურობის მიხედვით სააკაშვილის წვლილს აზერბაიჯანის მუშაობის შედეგებს აცნობს, იბი ერთ-ერთი ირინი ალფინის ქართული „მისხილიანოვა“ „საქმინის საგმირის“ და ოქტომბრის ოქტომბრის მიერ მიღწეულ „წარმატებას“ მისი ხელმძღვანელობით, საერთო უკრაინული მასშტაბით.

„გაფიქსირდა, მიხეილ სააკაშვილი ოქტომბრის ოქტომბრის გუბერნატორად იმით დაინიშნეს, რომ ცნობილ ქართველ რეფორმატორს უკრაინის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის სამაგალითო-სამეცნიერო მხარე დაეკავებინა... ისიც გვახსოვს, თუ რაოდენ დიდი იმედი ჰქონდათ ოქტომბრის და, საერთოდ, უკრაინელებს ყოფილი ქართველი პრეზიდენტისა, როგორ ავსებდნენ ამ დავალებას... და გააკეთა რამე? არაფერი. ოქტომბრის ჩატარებულმა მონიტორინგმა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2015 წლის შედეგების მიხედვით, ცხადყო, რომ ოქტომბრის უკრაინის მასშტაბით, მხოლოდ მე-18 ადგილზე იმყოფება, ქვეყნის 25 რეგიონს შორის. თანაც ექსპრეზიდენტის „ოქტომბრის მიღწევებში“ წინა გუბერნატორების იგორ პალიცას, ვლადიმერ ნემროვსკის და სხვების

წვლილიც შევიდა, ანუ მიზას პირადად ბევრი არაფერი გაუკეთებია.

საინტერესოა, რომ მიხეილ სააკაშვილის გუბერნატორობის დროს ოქტომბრის ოქტომბრის ძალიან ბევრი პრობლემა კი არ გამოხატოდა, პირიქით — კიდევ უფრო გამწვავდა. მაგალითად, შარშან ოქტომბრის ოქტომბრის კაპიტალური ინვესტიციები, 2014 წელთან შედარებით, 20%-ით შემცირდა, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე — 6,5%-ით. მოკლედ, ოქტომბრის ოქტომბრის 22-ე ადგილზეა ინვესტიციების ზრდის მიხედვით. არადა, მიხეილ სააკაშვილი სწორედ ამ სფეროში პოზირებდა ყველაზე მეტად, რომ მისი გუბერნატორობის დროს ზღვისპირა ქალაქში უცხოური ინვესტიციები მდინარესავით წამოვიდოდა. იგი, როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ რადგან ოქტომბრის გუბერნატორად საქართველოს ექსპრეზიდენტი, ანუ მსოფლიოში ესოდენ ცნობილი პიროვნება დაინიშნა, ყველა უცხოელი ინვესტორი ოქტომბრისაკენ სიხარულით გამოიქცეოდა. მისი იმედებმა ვერ გაუმართლა, რეფორმატორობამ და დემოკრატიზაციამ ვერ უშველა.

კიდევ გადავხედოთ „ჯიუტ“ ფაქტებს და ციფრებს: ოქტომბრის ოქტომბრის უმუშევრობის დონე ოფიციალურად, 2014 წელთან შედარებით, 2015 წლის ბოლოს 6,5%-ით გაიზარდა. ძალიან ცუდადაა საქმე ტურისტულ სფეროში მდინარეებით, რომელიც, უკრაინის მასშტაბით, ყველაზე ფართოდ



სწორედ მიხეილ სააკაშვილისადმი მიმართული ოქტომბრის ოქტომბრის გავრცელებული: აქ ყოველ ასი ათას მცხოვრებელზე 98 ქვეყნით დაავადებული ავადმყოფი მოდის. როგორც ვხედავთ, მიხეილ სააკაშვილს სამუშაო იმდენი აქვს, რომ თავის მოსაფხანნი დრო არ უნდა ჰქონდეს... მაგრამ რას აკეთებს ამ დროს ქართველი ტემპერამენტის ბიჭი?

იგი პრაქტიკულად სულ ტელევიზიების ეკრანზე ჩანს, ყველა პროგრამაში ლაპარაკობს, ჭკუას გვასწავლის, გვემუქრება, ბოლო ხანებში კი ტელევიზორიც არ ჰყოფნის და ყოველდღე ფეისბუქში მისი ხანა კომენტარებს წერს. თანაც, ისეთ საკითხებზე, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, ოქტომბრის ოქტომბრის მისი პასუხისმგებლობის არეალს სცილდება. ასე, მაგალითად, მიხეილ ნიკოლოზოვიჩმა დისკუსია დაიწყო თემაზე — შეუძლია თუ არა დონალდ ტრამპს ვლადიმერ პუტინთან გარიგება დადოსო. ძალიან მეჭყვება, რომ მათ შორის გარიგების დადება არ დადება ოქტომბრის პრობლემებს რაიმეს უშველის. ეჭვი მეპარება იმაშიც, რომ ოქტომბრის ოქტომბრის ეს საკითხი საერთოდ აინტერესებთ. ყოველ შემთხვევაში, ამ თემაზე კამათი მე ვერსად მოვისმინე. არადა, გუბერნატორის გარემოცვიდან ვერავინ შედავს უთხრას ყოფილ პრეზიდენტს — მიშა, მოეშვი მსოფლიო პოლიტიკას და ოქტომბრის მიხედვით.

სწორედაც უნდა უთხრან — მიხეილ სააკაშვილი ხომ უკვე დიდი ხანია, საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის (რომ მსოფლიო პრობლემების მოგვარებაზე დრო დაკარგოს). და არც უკრაინის პრეზიდენტი არაა, გენბავთ, პრემიერ-მინისტრი, ან ბოლო-ბოლო, საგარეო საქმეთა მინისტრიც კი. იგი ქვეყნის ერთ-ერთი ოქტომბრის გუბერნატორია, თანაც არცთუ ისე ეფექტური, მაგრამ ყველაზე ყბადი, მყვირალა და კუბლიკის წინაშე თავმოქმონე, მოთამაშე ჩინოვნიკი.

უკრაინაში ბევრი უკვე დაიღალა მიხეილ სააკაშვილის დაუსრულებელი ტრაბახით. ყველა ამჩნევს, რომ იგი მარიონეტის როლს ასრულებს ერთი ოლიგარქის მეორე ოლიგარქთან ბრძოლაში... ხალხი დაიღალა იმითაც, რომ მიხეილ სააკაშვილი თავის ჩავარდნებში ყოველთვის სხვებს ადანაშაულებს და პასუხისმგებლობის საკუთარი თავიდან აცილებას ცდილობს.

და ეს მიხეილ სააკაშვილისათვის ნაბათი, განგაშის ზარი უნდა იყოს — საეჭვოა, რომ მას კიდევ ექნება რაიმე შანსი, თუ ოქტომბრის ოქტომბრის გუბერნატორობიდან გადააყენებენ“.

### © განა ყველა უცხოური გამოცდილება გამოვადგება!

## თუ ერთი უამრბანილი დოლარი სმს გაიტანს?!

როგორ შეუძლია ჩვენს მთავრობას ქვეყანაში ინვესტიციების რაოდენობა გაზარდოს? გაზეთ „ფაინანსის“ თანახმად, ბევრ დასავლურ ქვეყანაში „მოქალაქეობა ინვესტიციების მიხედვით“ პოპულარული სამთავრობო ინიციატივაა. საუბარია ისეთ დიდ ქვეყნებზე, როგორცაა ავსტრალია, კანადა და დიდი ბრიტანეთი.

ამ ეტაპზე მსოფლიოს 30 ქვეყანას აქვს ინვესტიცია წახალისების პროგრამა, რადგან ისინი ცდილობენ, მოქალაქეობის მარტივი გზა სამიზნე ინვესტიციების მისაზიდვად.

მაგალითად, ოფიციალური სტატისტიკით, 2015 წელს კარიბის ქვეყნებმა 2000-მდე პასპორტი გაყიდეს სწორედ „მოქალაქეობა ინვესტიციების მიხედვით“ პროგრამის ფარგლებში.

საქართველოს კანონმდებლობა კი უცხოელი ინვესტორებისთვის ასეთ წახალისებას არ ითვალისწინებს. ეს მაშინ, როცა, ექსპერტების აზრით, ამით ჩვენი ქვეყანა კარგავს შესაძლებლობას, გაზარდოს ინვესტიციები და მიიზიდოს მდიდარი ხალხი.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ბინადრობის უფლება გაცივება უცხოეთის იმ მოქალაქეზე, რომელიც 300 ათასი ლარის ინვესტიციას მაინც აკეთებს ქვეყანაში. ნებართვა ვრცელდება ინვესტორის ოჯახის წევრებზეც. თუმცა საინვესტიციო ნებართვა მოქალაქეობა სულაც არ არის, უბრაოდან, ეს არის ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნით დარჩენის გზა.

### საჭიროა თუ არა ინვესტიციების წახალისება საქართველოს მოქალაქეობის შეთავაზებით?

ISET-ის წარმომადგენელი იაროსლავ ბაბიჩი მიიჩნევს, რომ საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის ბიზნეს-მიგრაცია



ციის პროგრამა შეიძლება მომგებიანი იყოს და შესაძლოა, პოტენციურად მიიზიდოს ბიზნეს-მენები პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, ცენტრალური აზიიდან, სამხრეთ კავკასიიდან, რუსეთიდან, ჩინეთიდან და ინდოეთიდან. საქართველოს მოქალაქეობის მთავარი მიმზიდველი

ფაქტორი კი შესაძლოა, გახდეს ევროპასთან უფიზო მიმოსვლა და მინის ფლობის უფლება უცხოელებისთვის.

ამავე ორგანიზაციის კიდევ ერთი წარმომადგენელი ფლორიან ბიერმანი კი ამბობს, რომ ინვესტიციების უმრავლესობა, როგორც წესი, ჩინელია და ისინი ცდილობენ, საკუთარ ქვეყანაში პოლიტიკურად არასტაბილურ სიტუაციას გაერიდონ. ამ მხრივ საქართველო გეოგრაფიულად ჩინეთთან და ბევრ სხვა პოლიტიკურად არასტაბილურ ქვეყანასთან ახლოსაა, ამიტომ საქართველოს მსგავსმა ქვეყნებმა ეს შესაძლებლობა უნდა გამოიყენონ.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ სამართლებრივი კანონების სიმყარე, ინფრასტრუქტურის გამართულობა და საბაზრო ეკონომიკასთან მათი შესატყვისობა თუ არსებობს, მაშინ ქართველი საქმიანი ადამიანებიც შესანიშნავად დაამყარებდნენ ურთიერთობას თავიანთ უცხოელ პარტნიორებთან. რაკი ეს არ გვაქვს, ინვესტიციების წახალისება საქართველოს მოქალაქეობის შეთავაზებით არაფერს მოგვცემს. ამით ჩვენ მივიღებთ

საეჭვო ფულსა და საეჭვო ადამიანებს.

„დააკვირდით სიტუაციას. მსოფლიოში ცნობილი არც ერთი საინვესტიციო ფონდი საქართველოში შემოსული არ არის. ამიტომ ვის სჭირდება საქართველოს მოქალაქეობა? ჩინელების განსაკუთრებულ ინტერესს რაც შეეხება, ამასთან დაკავშირებით შემძლია „შესანიშნავი წინადადება“ მივცე ამ ინიციატივის ავტორებს, თუ ჩვენ მივიყიდით საქართველოს ჩინელებს (და, ცხადია, მათ საამისო ფული, 300-400 მილიარდი დოლარი აქვთ), მერწმუნეთ, სუთი წლის შემდეგ ჩინელები აქ ზღაპრულ ქვეყანას ააგებენ და ათასობით, ასი ათასობით შემოვლენ მომენტალურად. თუმცა ეს უკვე ქართველების სახელმწიფო არ იქნება. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამის ჭკუა არ გავგაჩნია, საკუთარ საოცარ ქვეყანას მოვუაროთ. კარიბის ქვეყნების სტატისტიკა ჩვენთვის სანიშნოდ არ გამოდგება. იქ სხვა პრობლემები, სხვა ინიციატივები. ჩვენ სხვა საფრთხეები გვაქვს“, — აღნიშნა დემურ გიორხელიძემ და განმარტა, რომ ჩვენი ქვეყანა სამი ფუნდამენტური მოსაზრებიდან უნდა გამოდიოდეს — პირველი, ეს არის სახელმწიფო უსაფრთხოება, მეორე, ეკონომიკური ინტერესები და, მესამე, თანამშრომლობა საკუთარი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა 25 წელიწადია, საქართველოში ამ პოლიტიკას არ მისდევენ. ასე რომ, პასპორტების გაყიდვით იბერიის გაბრწყინებაზე ლაპარაკი ზედმეტია.



### დენიელ ფრიდი: უკრაინაში რუსეთის ფართომასშტაბიანი შეჭრის შემთხვევის შემთხვევაში და აზრს უსაბამისი გზა აქვს

ამის შესახებ ფრიდმა ამერიკის ხმისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„იმ შემთხვევაში, თუ ომი ისევ დაიწყო, ჩვენ სანქციების გაძლიერების ოპცია გავგაჩნია. ჩვენ საკითხი ევროპასთან განვიხილეთ, და ვიცით, რასაც ვიზამთ ამ შემთხვევაში. მაგრამ მე, პირობითი-კური სცენარის დეტალებზე საუბარი არ მსურს. თუ უარესი მოხდება — გულისხმობს უკრაინაში ფართომასშტაბიან შეჭრას — ჩვენ შემუშავებული გეგმა გვაქვს“, — აღნიშნა ფრიდმა. მისი თქმით, აღნიშნული გეგმა ამერიკამ გერმანიასთან, საფრანგეთთან, პოლონეთთან და ბრიტანეთთან განიხილა.

„უკრაინა ამჟამად არის რუსი სუბარატისტების მიერ ოკუპირებული, და მინდა გითხრაო, უარესი მოხდებოდა, სანქციები რომ არ ყოფილიყო, ამაში დარწმუნებული იყავით. ფიქრობს, რუსეთი მარიუპოლს, ხარკოვს, კრამატორსკსა და სლავიანსკს არ დაესხმებოდა თავს?!“, — განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

# იდეალების ბაეფუჭებულები,

**ჩემს წერილებს ხშირად ვინცეფ ფრაზით: საოცარი ხალხი ვართ ქართველები**  
რა ვქნა, ძვირფასო მკითხველო, იძულებული ვარ, ასე ვიფიქრო, რადგან, თუ ბოლო ოცდახუთ წელიწადში საქართველოში მიმდინარე მოვლენებს დავაკვირდებით, არა მგონია, ამ ფრაზის ჭეშმარიტებაში ვინმეს ეჭვი შეეპაროს.

ქართველების „საოცარი ბუნება“ განსაკუთრებით იდეალების, პრინციპების და ზოგადსაკაცობრიო ტერმინების გაფუჭებაში გამოიხატა. ქართველების მოქმედების ეს „მიმართულება“ აქტიურ ფაზაში ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში შევიდა და, ფაქტობრივად, განადგურა ისეთი სასიცოცხლო ტერმინები, როგორცაა დემოკრატია, ლიბერალიზმი, სასამართლო, გარემოს დაცვა და მრავალი ისეთი ფასეულობა, რომელთა არსებობა ნებისმიერი ქვეყნისთვის, ნებისმიერი სახელმწიფოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

დავინწყებ ისეთი მეტად საჭირობო-ტო თემით, როგორც ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორის განსაზღვრა.


ყველას კარგად გვახსოვს სამოცდაათიანი წლების „ამერიკის ხმა“. გვახსოვს, როგორი გაფაციცებით ვისმენდით ჩამხშობი ლოკატორების მოქმედების არეალს გამოპარულ თავისუფალ სიტყვას. გვახსოვს, ჩვენი წარმოდგენები ამერიკის შეერთებულ შტატებზე, სახელმწიფოზე, რომელიც თავისუფლების ქანდაკების იდეის, არსის რეალურ განსხვავლებად იყო ქცეული ჩვენს აზროვნებაში.

და რა მოხდა? მოხდა ყველაზე ცუდი, რისი წარმოდგენაც ძნელი იყო. დიდრიტორიკას არ მოეყვებო და პირდაპირ ვიტყვი, რომ **აღამიანთა გარკვეულმა ჯგუფმა დაირქვა საქართველოში ე.წ. სამოქალაქო საზოგადოების მშენებლის და დემოკრატიული პრინციპების გამტარებლის სახელი და დასავლური, ცივილიზებული სამყარო თავისი ყველაზე მახინჯი ფორმით შემოგვანჩქა.**

ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციამ „თავისუფლების ინსტიტუტმა“ და მის წიაღში აღმოცენებულმა დივერსანტებმა (დაიხ, სწორედაც რომ დივერსანტებმა), მოახდინეს დასავლეთთან ურთიერთობის ოკუპაცია და მონოპოლიზება. მთლიანად გადაკეტეს რეალური დემოკრატიისკენ მიმავალი გზები და საკუთარი აგრესიული, ავადმყოფური და არანორმალური იდეები ლიბერალურ ღირებულებებზე შემოგვასადეს.

მათ საკმაოდ აქტიურად აფინანსებენ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციები. ფინანსები კი რეალური საქმის კეთების ნაცვლად, ნამდვილი სამოქალაქო განათლების გავრცელების ნაცვლად, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების მიერ ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის მიუღებელი იდეების გავრცელებას ემსახურება.

ბუნებრივია, რომ მსგავსი იდეების



პროპაგანდამ საზოგადოებაში შესაბამისი რეაქცია და გარკვეული დოზით აგრესიაც კი გამოიწვია და რაც ძალიან სამწუხაროა, აგრესია ძირითადად დასავლეთის და, კონკრეტულად, ამერიკის წინააღმდეგ წარიმართა. ცეცხლზე ნავთი კი ამერიკის შეერთებული შტატების იმ მაღალჩინოსანთა განცხადებებმა დაასხეს, რომლებიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სადისტურ მმართველობას „დემოკრატიის შუქურად“ აფასებდნენ და საქართველოში მათ მფარველებად და ლობისტებად წარმოჩინდნენ.

სხვათა შორის, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავად დისკრედიტაციაჰყო სიტყვა „ნაციონალური“ და საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ჩვენი სახელმწიფოს დროშის მიმართ ზიზღი ჩანერგა, რადგანაც დროშა ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირდა, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ცხადია, საზოგადოების ასეთ დამოკიდებულებას ეს ე.წ. არასამთავრობოებიც ეპასუხებიან. ეპასუხებიან იმ ტელეარხების საშუალებებით, რომელთა

კარი, სწორედაც რომ, ყოფილი მმართველი ძალის მეშვეობით მუდამ ღიაა და ხალხს „ბნელ“, „გაუნათლებელ“, „წარსულში ჩარჩენილ“, „37-მანეთიანი ბილეთის მოტრფიალ“ და „რუსეთის პროპაგანდისტებად“ წარმოაჩენენ. ისინი აცხადებენ, რომ ნებისმიერი თემა, რომელიც მათთვის მიუღებელია, „ხელოვნურად არის შემოტანილი პრორუსული პროპაგანდისა და იმ ძალების მიერ, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოში პრორუსული გავლენის გაზრდას, ხოლო ხელისუფლება ცდილობს, არჩევნებზე პრომოფობიური, აგრესიული და პრორუსულად განწყობილი ამომრჩეველი მოიყვანოს“.

მათი ასეთი ქმედება პირდაპირ ურტყამს დასავლური, ნამდვილად დემოკრატიული და ცივილური ცხოვრების წესის დამკვიდრების ყოველგვარ მცდელობას.

იმ ადამიანებისთვის, სამწუხაროდ, რომლებიც ცდილობენ გაარღვიონ ამ აგრესიული ლიბერალების, ნამდვილი პრომოფობების, ქსენოფობებისა და მართლაც „ბნელეთის მოციქულების“ მიერ

აღმართული ბარიერი, ტელესივრცე ფაქტობრივად დახურულია.

არც ისე დიდი ხანია, შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „ამერიკის ნამდვილი მეგობრები“, რომლის წევრებსაც საზოგადოებაში აქვთ საკმაოდ ავტორიტეტი, აქვთ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და განათლება, საკმაოდ სერიოზული კავშირები დასავლეთის გავლენიან ორგანიზაციებში. იმედი მაქვს, რომ ეს ორგანიზაცია შეძლებს სერიოზული წვლილი შეიტანოს როგორც საქართველოს მოსახლეობის სამოქალაქო განათლების საქმეში, ისე სრული და ზუსტი ინფორმაცია მიანოდოს საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოში მიმდინარე პროცესებისა და არსებული გამოწვევების შესახებ.

დამერწმუნეთ, რომ ეს საკმაოდ ძნელი საქმეა. ძნელი იმიტომ, რომ წინააღმდეგობა მოდის არა მხოლოდ ე.წ. „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ გამოჩეკილი არასამთავრობოების მხრიდან, არამედ ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციების მხრიდანაც, რომლებიც წლების განმავლობაში ცრუ ინფორმაციის მიწოდებისა და დადგმული პროვოკაციების მოწყობის საშუალებით ახერხებდნენ დასავლეთისთვის თვალში ნაცურს შეყრას. მაგალითისთვის თვალწინააღმართურადაა ბასთან ერთად, თამამად შეგვიძლია, მოვიყვანოთ რესპუბლიკური პარტია, რომლის რეალური რეიტინგი 2%-ს არასოდეს ასცილებია, მაგრამ ზოგიერთი ევროპული, თუ ამერიკული ორგანიზაციის მეშვეობით, საქართველოს ხელისუფლებაში საკმაოდ გავლენიანი ადგილები ჰქონდათ მოპოვებული.

ბუნებრივია, რომ დასავლეთსა და საქართველოს შორის აღმართული „ბერლინის კედლის“ გარღვევას ხელს უშლის ის ლობისტი ორგანიზაციებიც, რომლებმაც არასწორი გათვლა მოახდინეს საქართველოსთან მიმართებაში, წამოეგნენ ავანტიურისტების მიერ დაგებული მახეს და უამრავი ფინანსური თუ სხვა სახის დახმარება გასწიეს. შედეგად კი ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილის ანტიპათია დაიმსახურეს. ისინი ანგარიშვალდებული არიან თავიანთი ორგანიზაციებისა თუ ამომრჩეველის წინაშე. შეცდომის აღიარება კი ძალიან ძნელია. აქედან გამომდინარე, კედლის დანგრევა საკმაოდ რთული იქნება, მაგრამ არა მიუღწევადი.

სტრატეგიულ პარტნიორთან თანამშრომლობის უმთავრესი პრინციპი, პატიოსნებაა, რაც, სამწუხაროდ, დღეს ქართულ ე.წ. არასამთავრობოებსა და ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას სრულად აქვთ იგნორირებული. სწორედ ამიტომაც მთელი ძალისხმევა, უწინარესად, ურთიერთობის გასუფთავებისკენ უნდა იქნას მიმართული. მაშინ შედეგიც რეალური და ორივე მხარისთვის შედეგიანი იქნება.

ზია გაბრიჭიძე

## აზიის განვითარების ბანკი 100 მილიონი დოლარით გვეხმარება

**სამართლებლოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გაფორმდა „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინტელუიური ზრდის პროგრამისათვის – ქვეპროგრამა 3-ის“ შეთანხმება.**

დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხაღურმა და აზიის განვითარების ბანკის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში იემიმ ელჰან კაიალიმ.

პროგრამის ფარგლებში, აზიის განვითარების ბანკი საქართველოს 100 მლნ აშშ დოლარს გამოუყოფს.

ფინანსთა სამინისტროს ცნობით, პროგრამის ძირითადი მიზანია, სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდის მიზნით, შიდა რესურსების უფრო ეფექტური მობილიზება. პროგრამის ფარგლებში, წარმატებით განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ვალის მართვის და ფისკალური რისკების შეფასებას, გადაიდგა ნაბიჯები კაპიტალის ბაზრის განვითარების, ასევე საპენსიო რეფორმის განხორციელების მიმართულებით და სხვა.

## თუ ერთი უამოტანილი დოლარი სამს გაიტანს?!

(მესამე გვირგვინი)

ახლაგაზრდა ფინანსთა და ბიზნესმენტა ასოციაციის „აფბას“ ანალიტიკოსი ზურაბ კუკულაძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ, თუ ვინმე ფულს შემოიტანს ჩვენს ქვეყანაში და ეს ფული ჩვენი ეკონომიკისთვის პოზიტიური იქნება, მისი ეროვნება, ჩინება იქნება თუ სხვა წარმომავლობის, არ უნდა განისაზღვროდეს.

ანალიტიკოსის თქმით, ჩვენს ქვეყანაში საინვესტიციო გარემო თუკი ვინმესთვის სასარგებლოა, ეს სწორედ ინვესტორების მიმართაა. ამდენად, მოქალაქეობის მინიჭების დამატებითმა პრეფერენციებმა საეჭვოა, დადებითი ეფექტი გამოიწვიოს. ვინც საქართველოს ეკონომიკაში ფულის ჩამდებია, ის ისედაც ჩადებს თანხას. მოქალაქეობის მიცემა რას უნდა აძლევდეს ინვესტორს? საქართველოს მოქალაქეობის სახით უცხოეთი ინვესტორს განსაკუთრებულ რას ეთავაზობთ? ჩვენ ხომ არ ვართ მაღალგანვითარებული ქვეყანა, სადაც ინვესტორისთვის, ბევრი ფულის მქონე პი-

როვნებისთვის მოტივაცია იქნებოდა საქართველოში ცხოვრება?!

„თამამად შემოიღია გითხრათ, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციები რეალურად ძალიან ბევრია. თუ შევადარებთ განვითარებულ სახელმწიფოებს, ერთ სულ მოსახლეზე მთლიან შიდა პროდუქტს ან სხვა მაჩვენებლებს, ეკონომიკის პრობორციებიდან გამომდინარე, ჩვენთან ინვესტიციები გაცილებით ბევრია, ვიდრე ჩინეთში, ევროკავშირის ქვეყნებში ან თუნდაც იმავე აშშ. უბრალოდ, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს ხარისხიანი ინვესტიციების მოძიება, რაშიც იგულისხმება ტექნოლოგიებზე და ინოვაციებზე ორიენტირებული ინვესტიციები.“

ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა გადასახედა. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასე ცალსახად ყველა ტიპის ინვესტიცია კარგია. ეკონომიკაში ასე ნამდვილად არ არის. არსებობს კარგი და ცუდი ინვესტიციები. მაგალითად, იგივე ჩინეთი გარკვეულ პოლიტიკას ატარებს, რომ აქცენტს გაკეთდეს მხოლოდ ხარისხიანი ინვესტიციებზე. დროა, საქართველოს მთავრობამაც დაიწყოს ინვესტიციების ტიპისა და შინაარსის გარჩევა. ის ფაქტი,

რომ კარიბის ქვეყნებმა 2 ათასი პასპორტი გაყიდეს უცხოელებზე, შეიძლება, მათთვის დამატებითი გარანტიების მიცემით აიხსნას; შესაძლოა, კარიბის ზღვის აუზი მათთვის შედარებით უკონტროლო სივრცე იყოს. საქართველო კი მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე შავი ხვრელი ნამდვილად არ არის. პირიქით, ჩვენ სულ უფრო ვუახლოვდებით ცივილიზებულ დასავლურ ინსტიტუტებს“, – აღნიშნა ზურაბ კუკულაძემ.

მანვე გაიხსენა ნობელის პრემიის ლაურეატის, ამერიკელი ეკონომისტის ჯოზეფ სტიგლიცის საინტერესო შეფასება, რომ ყველა ინვესტიცია არ შეიძლება იყოს ქვეყნისთვის სასარგებლო და შეუმოსული ერთი დოლარი აუცილებლად გაიტანს ქვეყნიდან სამ დოლარს. აქედან გამომდინარე, ქვეყანამ თვითონ უნდა იფიქროს განვითარებადი და ტევადი დარგების შექმნაზე, რომლის გადაბარებასაც ახლა ინვესტორებზე ცდილობს. ასე რომ, ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა მთლიანად შესაცვლელია.

მანანა ნოზაძე

# მოგავლისათვის

(პირველი გვერდიდან)

**ჩვენ დღეს, დამოუკიდებელ საქართველოში კიდევ უფრო მეტი უნდა შევქოთო. ჩვენ უნდა შევქოთო, რომ მომდევნო წელს, და ალბათ იმის შემდგომაც, დიდი მგოსნის 850 წელი გაცილებით უფრო მასშტაბური გახდეს, იუნესკომ მიიღოს გადაწყვეტილება ამის თაობაზე და ეს იუბილე აღინიშნოს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.**

სწორედ ამიტომ უნდა მოვიწვიოთ ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი მომდევნო წლის შემოდგომაზე. შოთა რუსთაველის სახელთან დაკავშირებულმა ამ დიდმა საერთაშორისო ფორუმმა უნდა შეგვადგინოს საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა დიდი მობილიზება, როგორც ქვეყნის შიდა პრობლემების გადასაწყვეტად, ასევე ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად. ამ გენიალურმა პოეტმა და მსოფლიო კონგრესმა უნდა გაგვართავინოს მთელ მსოფლიოში მიმობნეული საქართველოს შვილები და საქართველოს ნამდვილი მეგობრები, რომ მსოფლიოში კიდევ ერთხელ აღიფხვინოს მესსიერებაში, თუ რა წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო საგანძურში რუსთაველის იდეოლოგიაზე აღზრდილ ერს.

## მოგავლის პროგნოზიდან დანსახელებული კონკრეტული რეკომენდაციები:

გაზეთის წინა ნომერში სამი გამოკვეთეთ. უამრავი რჩევა მივიღეთ, მაგრამ ერთი რჩევა ბევრთან განმეორდა: საქაროა ქვეყნის მუდგონებისა და რესურსების ინვენტარიზაცია. გავიზიარეთ. ვამატებთ. ოთხ პრობლემას ვკვეთთ სამომავლოდ:

**პირველი** – ბანკები და საქართველოს მოსახლეობა; **მეორე** – შუალედური ფირმები – კორუფციის ბუდე და ქართული ეკონომიკის მტერი;

**მესამე** – საქართველო, ნედლეულით ვაჭრობის თუ მეცნიერებატევადი დარგების ქვეყანა;

**მეოთხე** – ქვეყნის მეურნეობისა და რესურსების ინვენტარიზაცია

ჩვენ მეცნიერულად გავანალიზებთ ამ პრობლემებს. გვაქვს იმედი, რომ ინფორმაციის საშუალებები დაგვემარებინან, ხალხთან მივიტანოთ სიმართლე.

დღეს შეგვიძლია ვთქვათ:

- არ შეიძლება ამ საბანკო სისტემის პრობლემაში სერიოზულ ეკონომიკაზე ფიქრი.
- არ შეიძლება ამ კაბალურ საპროცენტო განაკვეთების პრობლემაში, მოსახლეობის კეთილდღეობაზე საუბარი.
- შველა უნდა იპოთეკარებს ისე, რომ ეს მივალნიოთ საბანკო სისტემის გაჯანსაღებით.
- არ შეიძლება ქართული ეკონომიკის მომავალზე საუბარი შუალედური ფირმების ასეთი თავხედობის პრობლემაში, როცა დაზარალებულია მწარმოებელი და მომხმარებელი და ფუფუნებაში ცხოვრობს ხელისუფლების მიერ გაყოფილი შუალედური რგოლი.
- ჩვენ სერიოზულად გვაფიქრებს, რომ მინიმუმ ოთხი ქალაქი საქართველოში, სადაც ცხოვრობის გამოკვეთილად კარგი პრობლემა უნდა იყოს, ყველაზე უარეს მდგომარეობაშია. ჩვენ ხალხს ვეჭვოთ სიმარ-

თლეს, თუ რატომ არის ასეთი მძიმე მდგომარეობა იმ ოთხ ქალაქში – ფოთში, ზესტაფონში, ჭიათურასა და ბოლნისში, სადაც დღესაც კი ცხოვრების გამორჩეულად კარგი პრობლემა უნდა იყოს. ამ ქალაქებთან დაკავშირებით, კვლევის პირველ შედეგებს სექტემბერში გამოვაქვეყნებთ.

● ქვეყნის ინვენტარიზაციით უნდა გავიგოთ, ვინ რას ფლობს ამ ქვეყანაში. დღეს დაუჯერებლად გვეჩვენება, რაც მეცნიერთა ერთი ჯგუფის ინფორმაციით შევითქვით: სულ რამდენიმე თვის წინათ, მესტიის ტყეების 59 ათასი ჰექტარი ამერიკული კომპანიისაგან შეიძინეს ჩინელებმა. კიდევ უარესი, საქართველოს ხის მერქნის მარაგი შეადგენს 400 მლნ. კუბურ მეტრს რისი 40 პროცენტი არის წიფლის მერქანი, რომლის უდიდესი ნაწილის მოჭრის ოცნებიანი ლიცენზია ეკუთვნის ჩინურ კომპანიებს.

ჩვენ ყოველ პარასკევს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკით“ და ყოველ ხუთშაბათსა და ორშაბათს, ტელევიზია „ქართული TV“-ს პირდაპირი ეთერით ამ და სხვა რთულ პრობლემებზე ვისაუბრებთ.

ჩვენ ვთვლით, რომ სასწაული შედეგების მიღწევა შეიძლება, თუ საქართველოში ძლიერ ექნება მხარდაჭერა, გვექნება არა პარტიების, არამედ ნიჭის ძალაუფლება, თუ გვექნება არა პოლიტიკური რადიკალიზაცია, არამედ ინტელექტუალური.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მიერ დაწყებულ და უკვე მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ მხარდაჭერილ ამ პროცესს ვედარავინ შეუშლის ხელს, შეეცდებიან კი და, უპირველესად, ისინი, ვისაც არ აწყობს ქვეყანაში ძლიერი საშუალო ფენის შექმნა, მაგრამ აწყობს დღევანდელი მდგომარეობა, როცა მოსახლეობის 0,1 პროცენტი არის მილიონერი და მოსახლეობის 90 პროცენტი ცუდად, ან შიმშილის ზღვარზე ცხოვრობს. მდიდრები ადვილად ყიდულობენ ღარიბებს და ამყარებენ ბატონყმური ცხოვრების წესებს. დემოკრატია არის იმ ქვეყანაში, სადაც ძლიერია საშუალო ფენა და ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს საშუალო ფენის რაოდენობრივ ზრდისათვის.

# წყალი - ეროვნული სიფიქრა

დიდი დანტერესება გამოიწვია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გასულ ნომერში გამოქვეყნებულმა მოსახურებამ „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუციის“ პროექტთან დაკავშირებით. რომელშიც კონკურენტუნარიან დეტერმინანტული უპირატესობის მქონე ერთადერთ რესურსულ პოტენციალზე „წყალი - ეროვნული სიმდიდრე“ აქცენტებია გამახვილებული. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ საქართველო არის ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა მთელ სამყაროში უმაღლესი ხარისხის წყლის რესურსების სახელმწიფო მარაგებით და მისი მატერიალური ფასეულობა გაზისა და ნავთობის მფლობელი ქვეყნების სიმდიდრესაც კი აჭარბებს. ამაზე უფრო დეტალურად, შემდგომში. ამ ეროვნულ საქმეს, რომელიც ქვეყანას უსწრაფესი გზით გამოიყვანს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან და მიღწეული იქნება უმთავრესი პრობლემა - მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება - მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის წევრი, კონცეფცია-პროგრამის ავტორი, აკადემიკოსი **პაატა გიორგაძე** უდასაბუთებდა. სწორედ მისი ხელმოწერით ვაქვეყნებთ მასალას, რომელშიც ნათლად და კონკრეტულად ჩანს, რა შედეგი შეიძლება მიიღოს ხალხმა და ქვეყანამ.

## კონსტრუქცია-პროგრამით დასახულ ღონისძიებათა განხორციელების მიზნული ეკონომიკური შედეგი

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის მიზნით, კონცეფცია-პროგრამით დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შემთხვევაში, დღეს არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ბაზრის სეგმენტის მოპოვების რეალურ შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საანგარიშო ციფრად აღებულია 50 მლნ. ტონა წლიური წარმადობის სამრეწველო ციკლში დაფასებული (54 მლნ. ლიტრი) პროდუქტის გატანა. საქსპორტო საბითუმო ფასის - 24 ცენტის პრობლემაში, საერთო შემოსავალი შეადგენს 12 მლნ აშშ დოლარს.

წყლის მრეწველობის ეკონომიკიდან საქართველოს ბიუჯეტის ყოველწლიური შემოსავლები გაიზრდება 3 მლრდ. აშშ დოლარით.

15%-იანი მოგების ნორმის პრობლემაში, რაც წყლის ეკონომიკის საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, დაბალია, მხოლოდ მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტი მიიღებს 450.0 მლნ აშშ დოლარს.

დღეს ქვეყანაში მიღებული მთლიანი შიდა პროდუქტის გარკვეული ნაწილი ამოიღება გადასახადების სახით. წყლის ეკონომიკიდან კი წელიწადში შესაძლებელი იქნება არანაკლებ 2.5-2.8 მლრდ აშშ დოლარის მოზიარება. ერთჯერა-



დი კაპიტალური დაბანდებები, რომლის ათვისება 1.5-2 წელიწადში იქნება შესაძლებელი, არ აღემატება 2.1 მლრდ აშშ დოლარს. საავრთულო ტვირთბრუნვის სათვის (1კვ.კმ-ზე), პორტ-ტერმინალის მშენებლობის გათვალისწინებით, კაპიტალდაბანდებათა გამოსყიდვის (უკუგების) ვადა, სამრეწველო-საწარმოო პოტენციალის ამოქმედებიდან, 2-3 თვის მოიცავს, რაც საერთაშორისო ეკონომიკური პროექტების რეალიზების პრაქტიკაში იშვიათია.

საქართველოს სასამელო წყლის ბუნებრივი რესურსული პოტენციალის კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენება, საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების (აქციები, ვექსელები, ობლიგაციები) მატერიალიზება და მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვა, უზრუნველყოფს მსოფლიო წყლის ბაზარზე შესვლას და იქ ადგილის დამკვიდრებას, რაც ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორებისა და მეგობარი ქვეყნების ინტერესებშიც შედის. დასახულ ღონისძიებათა განხორცი-

ლებით მიღებული იქნება საქართველოს შიდა სამრეწველო პროდუქციის ზრდის ეკონომეტრიული შედეგი, რაც საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ქვაკუთხედად გადაიქცევა:

● ადამიანისთვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის „დაფასებული სასამელო წყლის მრეწველობის ეკონომიკიდან (საბაზისო)“ ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემო-

● ადამიანისთვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის „დაფასებული სასამელო წყლის მრეწველობის ეკონომიკიდან (საბაზისო)“ ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემო-

● დაინყება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;

● ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის დასაშვები საექსპლუატაციო რაოდენობიდან მარაგის 25%-ის კაპიტალიზაციის პესიმისტური მოდელის გამოყენებით, ქვეყნის დარგობრივი ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და სწრაფი განვითარების მიღწევა;

● მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმების გამოყენებისა და ფასიანი მომენტებიანი ქაღალდების საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე მატერიალიზების ტექნოლოგიები უზრუნველყოფს 570 მლრდ. აშშ დოლარის ეკვივალენტ ფულადი რესურსების მოზიდვასა და საერთაშორისო ბაზრის სეგმენტის მოპოვების რეალურ საშუალებას, ჩვენი ქვეყნისათვის ყოველგვარი რისკ-ფაქტორების გამორიცხვით.

● განხორციელდება სოფლის და სატყეო მეურნეობის, ენერგეტიკის, მსუბუქი მრეწველობის და სხვა სტრატეგიული საინვესტიციო ეკონომიკური პროექტების დაფინანსება, რაც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და დამოუკიდებლობის გარდაუვალი წინაპირობაა.

● ეტაპობრივად დაინყება „საქართველოს კონსტიტუციის“ თავი V 47-48-ე მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა განხორციელება, რაც საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის მზრუნველობით დამოკიდებულებისა და სოციალურად სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობის უპრეცედენტო მაგალითი იქნება მომავალი ხელისუფლების მხრიდან.

● გადაიდგმება რეალური ნაბიჯი, ეკონომიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისათვის, რაც იძლევა ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის გაძლიერების სრულ გარანტიას.

● გაიზრდება მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა, შეიქმნება საშუალო ფენა, საფუძველი ჩაეყრება ერთიანი, ძლიერი, ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს რეალურ მშენებლობას, რითაც საქართველო ღირსეულად დაიბრუნებს მსოფლიო თანამეგობრობის პოლიტიკურ რუკაზე, მშვიდობიანი რეგიონალური ეკონომიკური სივრცით.

**პაატა ბიორბაძე,**  
აკადემიკოსი



# საქართველოს საბჭო-საბჭო

## სასონარკვეთილი ხალხი, გაბოროტებული მაკიბლავი, იგნორირებული ოქროს ფონდი

რაც მეტად ვაკვირდებით საპარლამენტო არჩევნების კამპანიას, მით უფრო ვრწმუნდებით ბატონ რომან რურუას სტატიაში, „ავირჩიოთ ადამიანები, რომლებსაც ქართული სული აქვთ, მაგრამ ესმით მსოფლიო სუნთქვა...“ გამოთქმული ერთი მოსაზრების ქეშმარიტებაში.

ბატონი რომანი ამბობს: „ჩემი დაკვირვება და გამოცდილება მარწმუნებს, დიდი სიფრთხილით შევხედოთ ყველას, ვინც პარლამენტში შესვლისთვის თავს იკლავს, ფულს ხარჯავს და ამავე დროს, შევხვეწით, სწორედ რომ შევხვეწით, პარლამენტზე იფიქროს. ყველა იმ ადამიანმა, ვინც მართლა, რომ ჰაერით სჭირდება უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ჩვენს სამშობლოს“.

ძნელია, საქართველოს ისტორიაში მოძებნო ისეთი პერიოდი, როდესაც ხალხში მსგავსი გაჭირვება იყო და ასეთი სიმრავლე სკამისთვის გაბოროტებული მაკიბლებსა. ზოგი ხელისუფლებაში ყოფნით გაბოროტდა, უმეტესობა ხელისუფლებისათვის ბრძოლის დროს. თუ ძლიერად არ დავექვით, გაბოროტებულთა დროს, ვინაიდან მათ აწყობთ ის გაჭირვება, რომელიც ხალხშია, გაბოროტება მათ აგრესიულს ხდის და სამწუხაროდ, დღეს, ხალხს მოსწონს აგრესიული პოლიტიკოსი.

დიდი პრეზიდენტი იყო **რონალდ რეიგანი**. პრეზიდენტობამდე რამდენიმე წლით ადრე, როგორც გუბერნატორმა, მიმართა ამერიკელ ხალხს, რომელიც არა მარტო მისი, არამედ ამერიკის ბედის განმსაზღვრელი აღმოჩნდა. მან არცთუ კარგ მდგომარეობაში მყოფ ამერიკელებს მიმართა: ამერიკას ორი გზა აქვს: ან კუჭი იმარჯვებს გონებაზე, ან გონება იმარჯვებს კუჭზე. თუ კუჭმა გაიმარჯვა გონებაზე – ეს ამერიკის დასასრული იქნება. მაგრამ თუკი შევძლებთ, რომ გონებამ გაიმარჯვოს კუჭზე, მაშინ ამერიკა ზესახელმწიფო გახდება.

ივნისის ამერიკელებმა რეიგანის და გაიმარჯვებს. ჩვენ დღეს ზუსტად ამ მდგომარეობაში ვართ – ან კუჭი, ან გონება. ცხადია ერთი, რაც მეტს გვპირდება, მით უარესად ვცხოვრობთ. ერთხელ გვჭირდება ყველას გონებით გადაწყვეტილების მიღება და ჩვენ ისევე გავიმარჯვებთ, როგორც ამერიკამ! ეს ან ამ არჩევნებზე უნდა მოხდეს, ან ამ არჩევნების შედეგების სწორად გააზრებისა, ეროვნული ძალის მობილიზებისა, რათა დავიბრუნოთ პოლიტიკოსების და დანიშნული ბიზნესმენების მიერ წართმეული საქართველო. გაზეთის ყველა ნომერში აღვნიშნეთ და ყოველთვის გავიმეორებთ დიდი მოაზროვნის დიმიტრი უზნაძის სიტყვებს: „**გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ ლატაკნი ვართ, არამედ ლატაკნი მიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ!**“ ამ სიტყვებმა უნდა დაგვაფიქროს, გამოგვაფხიზლოს და ძალა მოგვცეს.

მდგომარეობა რთულზე რთულია. ფულიანები ბოქრობენ, პარტიები მათ პარტიულ სიებში და განსაკუთრებით, მაჟორიტარებად გზას უხსნიან, ჯერ

ჯერობით ერთი პარტიაც არ ჩანს, რომელიც სწორედ იმ ხალხზე იფიქრებდა, ვინც სასიკეთოდ წაადგებოდა ქვეყანას და მის მომავალს. არადა, ქვეყანაშიც და ქვეყნის გარეთაც უამრავი ასეთი ადამიანია. ჩვენც ბევრი მათგანის გვარი გამოვაქვეყნეთ. პარტიებმა სრული იგნორირება გამოუცხადეს. როგორც ჩანს, პარტიებს სუფთა და ღონიერად მოაზროვნე ადამიანების ეშინათ.

**გია მაისაშვილი** – მეცნიერი, პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, მოაზროვნე, სისუფთავით და პატიოსნებით სავსე კაცი... ყველაფერი კარგი შეგვიძლია ვთქვათ მის შესახებ. გავერთოთ უყურადღებობით და გულგრილობით ადამიანი, ვინც საქვეყნოდ იყო და არის მომართული დღესაც, როცა უმძიმეს სენს ებრძვის. იმედით ვიყოთ!

ერთი მაგალითი. გაზეთის ამ ნომერში ვაქვეყნებთ უდიდეს პროექტს უძლიერესი ეკონომიკური შედეგებით. არც ყოფილი და არც ამჟამინდელი მმართველი პოლიტიკური ძალა არ დაინტერესდა არც პროგრამით, არც მისი ავტორებით და არც მისი ხელმძღვანელით, აკადემიკოს პაატა გიორგაძით.

ოცამდე პარტიამ, ვისაც წერილით მივმართეთ და რომლის სულიკვეთება ეროვნული თანხმობის პარლამენტზე იყო ორიენტირებული, სრული უყურადღებობა გამოიჩინა.

წინა ნომერში ვახსენეთ ოთხი ქალაქი, სადაც მოსახლეობა, მართლაც, კარგად უნდა ცხოვრობდეს. ეს ქალაქებია: **ფოთი, ზესტაფონი, ჭიათურა, ბოლნისი**. ზედაპირული ინალიზაცია ჩანს, საქართველოს მდიდართა უდიდესი უმრავლესობა ამ ქალაქების ჯიჯგნით არის გამდიდრებული. მომდევნო საპარლამენტო არჩევნები უარესს უმზადებს ამ ქალაქებსაც და სხვებსაც.

მეცნიერთა დიდი ჯგუფი მიიჩნევს, რომ ჭიათურა-ზესტაფონი-ტყიბული, საქართველოს მძლავრი ეკონომიკური ლერძია. ასე იყო ძველ პერიოდშიც და ამ პოზიციას ინარჩუნებს დღესაც. საკითხავია, ვისთვის და ვისზე მუშაობს დღეს? საქართველოზე – მინიმალურად, ამ ქალაქებზე – უფრო ნაკლებად, მაფიოზურ კლანებზე – წარმატებულად. ეს არის მართვის პრობლემები. ზესტაფონში გვაჩვენებს გაზეთი, რომელშიც ეს პრობლემებია გაშუქებული. ამაზრზენია, რაც იქ წერია და თუ ერთი პროცენტიც კი სიმართლეს შეიცავს. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის უდიდესი სიმდიდრე და დიდი ეკონომიკური პოტენციალი მაფიოზებმა იჩუქეს. ხელისუფლების გარეშე? – წარმოუდგენელია.

როგორც ჩანს, ჯერ იყო და ეს ყოველივე შევარდნაძეების ოჯახთან იყო დაკავშირებული, შემდეგ ესტაფეტა სააკაშვილის ოჯახმა მიიღო. საგანგაშოა, რაზეც დღეს ხალხში ლაპარაკობენ. ნუთუ, ეს არ იცის ხელისუფლებამ ან ბიძინა ივანიშვილმა? სამწუხარო ის არის, რომ ხალხის აზრს მოვლენათა განვითარება ადასტურებს.

ზესტაფონს დიდი ინტელიგენცია ჰყავს, როგორც შემოქმედებითი, სამეცნიერო, პედაგოგიური, სამედიცინო, ასევე ტექნიკურიც. მართვის სადავეები გარე

ძალებთანაა დაკავშირებული. სადაც არ წავედით, იქნება ეს ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი, საპატრიარქო, მეცნიერებათა აკადემია თუ თავად ზესტაფონი, ყველგან ბატონი **სერგო ვარდოსანიძის** საუცხოო შეფასებას მოისმენთ. პროფესორი, დოქტორი, ერსა და ბერში პატივდებული, საერთაშორისო გამოცდილების კარგად მცოდნე. რა თქმა უნდა, მას დეპუტატობა არ უნდა, მაგრამ თუ ღირსეული ქვეყანა გვინდა, ჩვენ ხომ უნდა ვფიქრობდეთ ასეთ ადამიანების დეპუტატობაზე? თუ ასეთ ხალხს არ ვეძებთ, მაშინ ვინც კენჭს იყრის, იმათ ძებნა არ სჭირდებათ, უმეტესობა თვითონ ეძებს ხმების გამყიდველს და ამ გზით დეპუტატის სავარძელს.

არ შეიძლება, კმაყოფილება არ გამოვხატოთ იმის გამო, რაც **გივი ჯაოშვილის** ოჯახთან დაკავშირებით მოვისმინეთ. სიცოცხლეშივე მიენიჭა ზესტაფონის მუზეუმს მისი სახელი და ეს იმ დამსახურებისთვის, რაც ზესტაფონისა და საქართველოს წინაშე მიუძღვის. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ მას წარმატებული შედეგები ჰყავს. **გოგი ჯაოშვილი** საქართველოში ცნობილი პიროვნებაა. მას უდიდეს პატივს მიაგებენ ჩვენს ქვეყანაში. უამრავი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული ზესტაფონისთვის, ენერჯიული ახალგაზრდა კაცია, ქართულად დამუშტული. აქვს უდიდესი გამოცდილება. **ბადრი პატარკაციანი** დიდი საბჭოს მთავარი კორდინატორი გახლდათ. წინა ხელისუფლებამ ამის გამო ტანჯვა-წამება არ მოაკლო. თავად არაფერი სურს, მაგრამ ასეთი კაცი არ გამოიყენო, თუნდაც დეპუტატობა არ შესთავაზო, არც ქვეყნისთვის, არც ზესტაფონისთვის არ არის კარგი.

ჩვენ ერთ-ერთ წინა ნომერში ვისაუბრეთ საბერძნეთში მოღვაწე პროფესორ **ავთანდილ მიქაბერიძეზე**. წარმატებული პიროვნებაა და უაღრესად დიდი მისდამი პატივისცემა საბერძნეთის როგორც სახელისუფლებო, ასევე სამეცნიერო წრეებში და რაც უმთავრესია, ქართულ დიასპორაში. მას ალბათ, ამაზე არ უფიქრია, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა ვფიქრობდეთ ასეთი ადამიანების მოზიდვაზე და ქვეყნისთვის საჭირო საქმით დაინტერესებაზე.

ხალხში გახვალ და თუ მათ გულწრფელ საუბარზე გამოიწვევ, უამრავ საინტერესო და სამომავლო პიროვნებას შემოგთავაზებენ. ნაკლებად რომ იცნობს ხალხი, ისეთებიც ახსენეს – **თემურ მიქაბერიძე**, ახალგაზრდა იურისტი კარგი გამოცდილებით, ასეთივე შეფასებები გააკეთეს **ვასილ მშვენიერაძეზე**, **ვალერი გორგოძეზე**. უფროსი თაობიდან ბევრი გეტყვით კეთილ სიტყვებს **თემურ კაკოჩაშვილზე**, ყველა თვლის, რომ უდიდესი გამოცდილება აქვს, ძლიერი სპეციალისტია, კარგი ორგანიზატორია, საზოგადოება „ზესტაფონელის“ თავკაციც ის ყოფილა. ამ საზოგადოებაში ისეთი ადამიანებია, ვისთანაც დათათბირება ნებისმიერი რანგის ხელისუფალისათვის სასარგებლო და დიდი პატივია. ვის აინტერესებს? ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა ამ ხალხთან შეხვედრამ. ესენი არიან გულანთებული მამულიშვილები, ვისაც უყვარს მშობლიური ზესტაფონი და ამავე დროს, კუთხურობის არნაირ ნიშანს არ ატარებენ. აი, ის კი დაუშვებელია, როგორც მათ ექცვიან სხვადასხვა დროის ქვეყნის ხელისუფალნი.

სამწუხაროდ, ზესტაფონი გამონაკლისი არ გახლავთ. როგორც ჩანს, დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უმძიმესი პრობლემაა ადგილობრივი კადრებისადმი უნდობლობა, რაც პრაქტიკულად, მთელი მოსახლეობის უპატივცემულობას ნიშნავს. ჩვენ ყველგან ამის უამრავი მაგალითი დაგვისახელეს. აჭარის, სამეგრელოსა და იმერეთის მაგალითი მხოლოდ დამაფიქრებელი კი არა, საგანგაშოა. ამის შესახებ გაზეთის შემდგომ ნომერებში.

დაგვამძიმა შიდა ქართლში მოსახლეობასთან, მეცნიერთან, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან საუბრების ანალიზმა. ხალხი ასე გამოჩნეულად და სიამაყით ლაპარაკობდეს არაერთ ადამიანზე და ხედავდნენ, რომ ხელისუფლების ინტერესებში არც ერთი არ შედის, რა თქმა უნდა, მეტად დამაფიქრებელია.

როგორც საქართველოსთვის საიმედო კაცს, ისე უყურებენ შიდა ქართლში მწერალს, მეცნიერს, პედაგოგს, მთარგმნელს, პროფესორ **პაატა ჩხეიძეს**. სტუ-



# საღსი და არა საღისუფლები

დენტები, ლექტორები, ქალაქის მცხოვრებლები ერთნაირად კარგად საუბრობენ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ **გიორგი სოსიაშვილზე**. კარგია, რომ უნივერსიტეტმა ასეთი კადრი აირჩია რექტორად. გორის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორ **ვალერი სუხიშვილთან** შეხვედრამ და საუბარმა, იმ მოსაზრებებმა, რაც მის მიმართ მოვისმინეთ უნივერსიტეტშიც და მის გარეთაც, იმედიანად განგვაწყობს. კარგი განწყობა შევიგრძენით გორის საზოგადოებრივი დარბაზის ხელმძღვანელის, ბატონ **თამაზ მაყაშვილის** მიმართ. ეს საზოგადოება ისეთ ხალხს აერთიანებს, ვისთანაც ჩვენი აზრით, ხელისუფლება მუდმივ დიალოგს უნდა მართავდეს.

გორელების დიდი მხარდაჭერა აქვთ სახელმწიფო და პედაგოგიური მიმართულების, სამეურნეო საქმიანობის კარგ ორგანიზატორებს: ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორ **ზაზა ედიშერაშვილს**, საზოგადო მოღვაწე **ნუგზარ მაჭავარიანს**, პედაგოგ **მარინა ტაბატაძეს**. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით გვიხსენებს, რომ აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო პროექტებში და ისიც დააყოფს, რომ კარგი მამის შვილი და ტრადიციული ქართული ოჯახის დედაა.

ამ დღეებში საინფორმაციო სივრცეში გავრცელდა უაღრესად საინტერესო მასალა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, აშშ-ის ჯეიმსთაუნის ფონდის პოლიტიკური ანალიტიკოსის **ვასილ რუხაძის** ხელმოწერით. მისი განწყობა სტატიის სათაურშივეა მოცემული. **„ერი, რომელიც საკუთარი არსებობისა და უსაფრთხოების სტრატეგიას სხვა ქვეყნის დახმარებაზე ამყარებს, უსათუოდ დაიღუპება“**. ეს კაცი ამერიკაში ცხოვრობს. წარმატებულია. საქართველოში კი არ გვაინტერესებს! იქიდან ისეთებს გვიგზავნიან ან სულაც ჩვენ თვითონ ჩამოგვყავს, რომლებიც საპირისპიროდ მოქმედებენ, რათა სწორედ სხვაზე ვიყოთ დამოკიდებული. აშკარაა, რომ ჩვენთან სხვა ქვეყნის ინტერესების მსახურთ უფრო აფასებენ, ვიდრე ქართულის.

სხვა ქვეყნის ინტერესებისათვის მსახურებას მიიჩნევს ქვეყნის უბედურებად პოლიტოლოგი **ლევან სვანაძე**. ის მართლა ბრძენი კაცია — ასაკითაც, გამოცდილებითაც, განათლებითაც, უცხოეთის ცოდნითაც. ძნელია, საქართველოში იპოვო მეორე პიროვნება, რომელსაც ასეთი მონოგრაფიები ჰქონდეს დასავლეთის ცნობილ მოღვაწეებზე, ამდენი შეხვედრა ამერიკისა და ევროპის დემოკრატიული ქვეყნების მაღალი რანგის ხელმძღვანელებთან, ამდენი ხანი ემუშავოს ინგლისის, ამერიკის, გერმანიის და საფრანგეთის ბიბლიოთეკებსა და არქივებში. დანაშაულია, როცა ასეთი



**პროფესორი და პოლიტიკური ანალიტიკოსი „პროფესორი თანხმობის პარლამენტის“ შექმნაში**

ადამიანების შემადგენლობით სახელმწიფოს დონეზე არ არის შექმნილი მრჩეველთა საბჭო ან სათათბირო. დანაშაულია, როცა საინფორმაციო სივრცე არ არის დაკავებული ასეთი ადამიანებით. ჩვენ ორი გვარი ვახსენეთ. ახალგაზრდა პროფესორი და დოქტორი **ვასილ რუხაძე** და უკვე მცხოვანი მეცნიერი, პროფესორი და დოქტორი **ლევან სვანაძე**. როგორც წყლის ორი წვეთი, ისე ჰგავს ერთმანეთს მათი შეხედულებები გარე სამყაროსთან, ჩვენი ქვეყნის ურთიერთობების თაობაზე. რა ბედნიერი იქნებოდა საქართველო ასეთი პარლამენტარებით. ეს თაობათა კავშირიც იქნებოდა და იმის ხაზგასმაც, რომ ხელისუფლება აზროვნება და არა ასაკი.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფს სერიოზული ანალიზი აქვს მომზადებული. განწყობა კარგი გვაქვს. უამრავი მეცნიერი გვიერთდება. ვძლიერდებით. მხარდაჭერა სერიოზულია.

არ გვინდა, ვიჩქაროთ. 8 სექტემბერს საპარლამენტო სიების წარდგენა მთავრდება. გვეცოდინება, ვინ იყრის კენჭს, ვინ არიან სიებში. ის, რაც გვესმის, საიმედოს არაფერს გვეუბნება. ჩვენ შორის ვდგავართ ამ საარჩევნო პროცესიდან. ყველა წინადადება, გავმზადარიყავით საარჩევნო სუბიექტი, უარყავით. ჩვენთვის მთავარია ქვეყნის მომავალი და არა საპარლამენტო სავარძელი.

საზოგადოების მხარდაჭერით, ჩვენ შევქმნით 21-ე საუკუნის დიდგორის ლაშქარს. ჩვენ მომდევნო წელს

გადავაქცევთ მეცნიერების გავლენის გაძლიერების წლად. სწორედ ჩვენ, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეებთან ერთად, დარწმუნებული ვართ, ეკლესიის დიდი მხარდაჭერით შევძლებთ საერთაშორისო მასშტაბი შევძინოთ შოთა რუსთაველის იუბილეს, ამისთვის გამოვიყენოთ ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა საერთაშორისო კონგრესი. ამ კონგრესის დასკვნით სხდომას წარუდგინოთ ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი განვითარების მეცნიერული პროგრამა.

დიდი ანალიზი არ არის საჭირო, რომ დაასკვნა, ხალხი გაჭირვებისგან სასოწარკვეთილ მდგომარეობაშია, გაბოროტებული მიიღვივან საპარლამენტო სკამებისაკენ, მაშინ, როდესაც იცნობრებულია საქვეყნო საქმეებისადმი მომართული უამრავი ადამიანი.

**მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის პოზიცია ურყევია: ჩვენ დიდი პროცესი დავიწყეთ, მას კიდევ უფრო მასშტაბურად გავაგრძელებთ, არ მოვეშვებით არც ერთ პრობლემას, რაც ხალხში და ქვეყანაშია... ჩვენ არც იმას ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ სიმართლის საბოლოო ინსტანცია, მაგრამ დაპირისპირება, პარტიების გაფეთქება, პარტიული ინტერესის ქვეყნის ინტერესზე მაღლა დაყენება, რომ დამანგრეველია, თანამშრომლობის ჰარმონიზაცია, რომ აუცილებელია, ვფიქრობთ არც ეს არის საკამათო. სწორედ ამიტომ არის საჭირო ჯანსაღი დისკუსია, ჯანსაღი პაექრობა. ეს ჩვენი გზაა.**

## სასოწარკვეთილი ხალხი, გაბოროტებული მაკიახლები, იბნორიკაბული ოქროს ფონდი

### ქართული სულის ტელევიზია

მეამაყება, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ ყოველკვირულად ბეჭდავს მასალებს მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის „ეროვნული თანხმობის პარლამენტისთვის“.

მიხარია, რომ მკითხველი თითქმის ყოველდღიურად ეხმაურება სტატიებს და მოსწონს ჩვენი პოზიცია და მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მოსაზრებები.

უფრო მეტად სასიხარულო კი ის გახლავთ, რომ ჭეშმარიტად ქართული ტელეარხი „ქართული TV“, რომელიც სრულიად განსხვავდება სხვა ტელეარხებისგან (არ ილანდდება, არავისი შურს, არავის მტრობს) საინტერესო და ქვეყნისთვის საჭიროებო გაცემებს გვთავაზობს, რომლებმაც ასევე მაყურებლების სიმპათია და მოწონება დაიმსახურეს.

მე ვეთანხმები ჩემს მეგობრებს იმ შეფასებაში, რომ დღეს საქართველოს საინფორმაციო სივრცე აღარ არის ქართული,

უფრო მეტი, ცალკეულ პოლიტიკოსთა პოლიტიკურ პარტიათა პრიმიტიული აზროვნების აგიტპუნქტებად იქცნენ ტელევიზიები. არ ეკადრება ეს საქართველოს!

ჩვენ ყველანი ვამაყობთ და პასუხისმგებლობასაც ვგრძნობთ, რომ „ქართული TV“-ის ტელევიზია, რომლის სათავეებთან დგას დიდი რეზო ჩხეიძე, რომელმაც ორი წლის წინ, ღვთისმშობლობას, სამების საკათედრო ტაძარში, საჩუქრად გადასცა სრულიად საქართველოს.

ტელევიზიის სათავეებთან დგანან საქვეყნო კაცები: მერაბ ბერძენიშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, გიგი ბათიაშვილი, გივი თოიძე, ტარიელ ხარხელაური, თემურ გუგუშვილი, არნოლდ გეგჭკორი, რამაზ ყურაშვილი. მახარებს, რომ მეც მათ შორის ვარ.

ასეთი ადამიანების შექმნილი ტელევიზია, მით უფრო, როცა იგი უკვე სააქციო საზოგადოებაა, არ შეიძლება იყოს,

რომელიმე პარტიის მხარდამჭერი, რუპორი ან მოწინააღმდეგე. მით უფრო, რომ ჩვენ ერთმნიშვნელოვნად დამანგრეველს ვუნოდებთ დღევანდელ საქართველოში პარტიების კვალიფიციურად და არაკვალიფიციურად დაყოფას.

მიხარია, რომ ამ დიდ გადაწყვეტილებას ხელს დიდი მოღვაწე კაცი, ჩემი მეგობარი **რომან რურუა** აწერს. რომ ამ საქმეს პატრონობს სატელევიზიო საქმის კარგად მცოდნე **ალექსანდრე ოჩიგავა**, რომელმაც ავსტრალიაში მიიღო სპეციალური განათლება, ვის სახელთანაც პირველი დიდი საკომუნიკაციო ქსელი „აიგტა“ დაკავშირებული. ყოველთვის სიამოვნებას მანიჭებს ტელევიზიის თანამშრომლებთან შეხვედრა, საუბარი, მათი გადაცემების ნახვა. ძალიან ვაფასებ გენერალურ პროდიუსერს, ქალბატონ **მანანა ნოდუას**, რომელიც სატელევიზიო საქმის დიდი პროფესიონალია.

კაცმა რომ თქვას, ასეთი ადამიანების სახელთან დაკავშირებულ და ასეთი ქართული განწყობის ტელეარხს ყველა უნდა უჭერდეს მხარს, ვისაც კი ეს შეუძლია. ზოგი აქციონერი გახდება, ზოგი რეკლამას განათავსებს. დიდი იმედი მაქვს, რომ არ დარჩება არც ერთი საკაბელო ტელევიზია, რომელიც ჩვენთან თანამშრომლობას არ მოისურვებს იმის სურვილიც კი მაქვს, რომ ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ციფრული მაუნყებლობის ხელმძღვანელობამაც განსაკუთრებული გადამწყვეტილება მიიღოს, მით უფრო რომ ამ საქმეს ცნობილი და სატელევიზიო საქმის კარგად მცოდნე პიროვნება, ბატონი **დავით ზილფინიანი** მართავს.

ჩემო საყვარელო ქართველო მკითხველო და მაყურებელო, მე და ჩემი მეგობრები, თანამოაზრეები გირჩევთ, ამ ტელეარხის გადაცემების ყურებას. დარწმუნებული ვარ, თქვენც ისევე იამაყებთ „ქართული TV“-თი, როგორც მე.

თქვენი **ოზარ მხიძიძე** საქართველოს სახალხო არგისტი

**ჩვენი ჩაქვიზიზაბი:**  
 თბილისი 0179, ლამაზიძის ქ. №4  
 ტელ. (032)2 443446; 599 03 21 66; 599 37 83 41  
 ელ.ფოსტა : kartuliertoba@gmail.com  
 ვებ.გვერდი: www.qedi.tv.com.ge  
 ფეისბუქის გვერდი: საინიციატივო ჯგუფი „ეროვნული თანხმობის პარლამენტის“ ფორმირებისთვის

**სად ვუყუროთ ტელევიზიას „ქართული TV“**  
 ამ ეტაპზე გადაცემების ნახვა პირდაპირ ეთერში შესაძლებელია ფრანგულ თანამგზავრზე Eutelsat at 36.00: „silknat“-ზე, „Super-TV“-ზე, myvideo-ზე“ „ქართული ერთობის დარბაზისა“ და ტელეკომპანია ქართულის ვებ გვერდზე: qedi.tv.com.de და qtv.com.ge.

ამ რამდენიმე დღის წინათ, ცნობილ ქართველ მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფმა „ქართული ერთობის დარბაზის“ გაზეთში „ქართული“ გაავრცელა მიმართვა ხალხისა და ხელისუფლებისადმი, რომელშიც იყო მსჯელობა იმაზე, თუ როგორ უნდა იყოს დაკომპლექტებული მომავალი პარლამენტი, რა ადამიანური თვისებების, მსოფლმხედველობის, ღირებულებების ორიენტაციის მატარებლები უნდა იყვნენ მომავალი პარლამენტარები. პირველ რიგში, მიმართვის ავტორებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ მომავალი პარლამენტი უნდა იყოს ერთობის, თანხმობის, ურთიერთთანამშრომლობის პარლამენტი და არა ურთიერთიერიობის, ღიშინიერების, ჩხუბის, ბრალდებების და ა.შ., როგორც ბოლო პერიოდის პარლამენტები იყო. პარლამენტი უნდა დაკომპლექტდეს ისეთი ადამიანებით, ვინც ვინც პარტიულ ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესებს დააყენებს და ვისთვისაც საქართველო იქნება უპირველესი მიზანი და უმაღლესი ღირებულება.

მე გულწრფელად მივესალმები ჩვენი საზოგადოების რჩეული უმცირესობის, ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელთა სურვილს, რომ მომავალ პარლამენტში არ მოხვდნენ ის ადამიანები, რომლებიც ყველა დასაშვებო თუ დაუშვებელი მეთოდით ისწრაფვიან პარლამენტისაკენ, ანუ ძალაუფლებისაკენ, რომ მერე ეს ძალაუფლება მათი ამომრჩეველი ხალხის გასაღატაკებლად და გასაძარცვად გამოიყენონ.

რასაკვირველია, მივესალმები იმ წინადადებასაც, რომ დაინდოს დიდმასშტაბიანი მოძრაობა ქვეყნის გადასარჩენად. „ეს მით უმეტეს საჭიროა დღეს, როცა გარედან როგორც ფინანსური, ასევე პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს იმ ძალებს, რომლებიც გამოირჩევიან ყალბი ეროვნული პათოსით, დემოკრატიის თამაშით, სოციალური დემაგოგიით, პოლიტიკური კორუფციით“, - ვკითხულობთ მეცნიერთა მიმართვაში.

ამ უაღრესად საინტერესო და საქმიანმა მიმართვაში და ბატონ რომან რურუსს 21 ივლილის წერილმა, „მინდა ვიცხოვრო ბედნიერებით სახლსაში“ ბეგრი კითხვა გამოიჩინა, კერძოდ, დამოფიქრა იმაზე, თუ არჩევნიდან არჩევნიდან რატომ ვფრთხილდებით ერთ-ერთ-ერთს და რატომ უნდა არჩეულნი ვიყოთ ერთ-ერთ-ერთს და რატომ უნდა არჩეულნი ვიყოთ ერთ-ერთ-ერთს? უნდა აღვნიშნავთ, რომ უკვე დასრულდა არჩევნების უპირატესობის არასასურველ პარლამენტარებს, არამედ თვით გაუყვალბებული არჩევნების შემთხვევაშიც კი. სწორედ ამ ვითარებამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ როგორც ჩანს, არასწორია, მცდარია, საზიანოა, ადამიანების შერჩევისა და დანიშნულების ის პრაქტიკა, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია მოქმედებს აქ, ჩვენთან, საქართველოში. ეს პრაქტიკა კი ასეთ პრაგმატულ ლოგიკას ეფუძნება:

არჩევნებს სჭირდება ფული. ბევრი ფული. ფული სჭირდება თვითონ არჩევნების ჩატარებასაც და მერე იმ დაპირებების ასრულებასაც, რომელსაც ასარჩევი ადამიანი (ვთქვათ, დეპუტატობის კანდიდატი) უხვად გასცემს არჩევნების წინ. სჭირდება იმაზე გაცილებით მეტი ფული, ვიდრე მისი გამოყოფა შეუძლია ჩვენს მცირე რესურსების სახელმწიფოს და მთავრობას.

ამიტომ, საარჩევნო სიებში, პირველ ყოვლისა, ხვდებიან ფულიანი ადამიანები. ფულიანი ადამიანები კი უმეტესად ბიზნესმენები არიან. ამ ბიზნესმენებმა ფული როგორ, რა გზით იშოვეს, ეს ჩემი გასარკვევი არ არის, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ბევრ მათგანს ფული არაკეთილსინდისიერი გზით აქვს ნაშოვნი (თუ იგი ძალიან დიდი სპორტსმენი, ხელოვანი ან მეცნიერი არაა), ხოლო ის, ვინც ფულს არაკეთილსინდისიერი გზით შოულობს, რბილად რომ ვთქვათ, უზნეო, ანგარებინა ადამიანი. ასე იყრიან თავს პარლამენტში ფულიანი, მაგრამ უმეტესწილად უზნეო ადამიანები. ამბობენ: ფული ფულს იზიდავს და ბიზნესმენები პარლამენტში იმიტომ „დებებიან“, რომ ან თავიანთი არმად ნაშოვნი ფული „გააპრაფონ“, ან ვინმე „დაკრიშონ“ და ამით, „სუფთა ხელეებით“, გაიზარდონ შემოსავალი, ანუ პარლამენტში ჯდომით სიმდიდრეს სიმდიდრე მიუმატონ.

ასეთი იყო ვითარება შევარდნაძის დროსაც, სააკაშვილის დროსაც და ასეა, სამწუხაროდ, ახლაც. მე მიმაჩნია, რომ ეს მავენ, ქვეყნისათვის შემარცხენელი და საზიანო პრაქტიკა უნდა მოიშალოს და სულ სხვა კრიტიკ

რიუმებით მოხდეს ადამიანების არჩევა პარლამენტში ან რაიმე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

**პირველ რიგში, თანამდებობებზე უნდა დაინიშნოს: საქმის, დარგის მცოდნე ადამიანები, კარგი პროფესიონალები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.**

ქვეყნის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვიციანი, რომელიც თავისთავად სიმპათიური და ენერგიული ადამიანია, საარჩევნო სიებში შესაყვანი კანდიდატების ან მომავალი მინისტრების წარდგინების დროს მართო მათი გვარ-სახელების დასახელებით ან იმის გამოცხადებით კი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუ სად (რომელ უცხო ქვეყანაში) დაასრულა მანამდე უნივერსიტეტი, არამედ საზოგადოებას შედარებით ვრცლად გააცნოს (ურიგო არ იქნებოდა მათი გამოცხადება რამდენიმე წელია და რესპუბლიკაში) – ვის რა ცხოვრებისეული გამოცდილება გააჩნია, ვის რა უმუშაოა, ვის რა შეუქმნია, რა გაუყვარებია, რა დაუწერია, რა გამოუგონებია, რა დაუპროექტებია, რა აუშენებია, ვის რა წარმატებისათვის მიუღწევია, ვის რა ავტორიტეტი აქვს იმ კოლექტივში, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა და ა.შ. ეს აუცილე

ვანი სამსახური ჩაებარება მისთვის. სამაგიეროდ, წარმატებით განხორციელდა ჯანდაცვის რეფორმა, სადაც სამინისტროს სათავეში ნამდვილი პროფესიონალი, საქმის მცოდნე დავით სერგეიძე უდგას.

ვფიქრობ, ამ მაგალითებით და ასეთი მაგალითი უამრავია, ძნელი არ არის მიხვდეთ, რამდენად აუცილებელია პროფესიონალიზმი, ანუ საქმის ცოდნა დასაინაზურებლად შესარჩევად.

ჩემი აზრით, დიდი შეცდომაა, როცა ამბობენ, რომ ცოდნა, გამოცდილება პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა კი არაა მთავარი, არამედ მთავარია, გქონდეს მენეჯერული თვისებები. არადა, კარგი მენეჯერი როგორღა იქნები, თუ საქმის ცოდნა არა გაქვს? ამიტომ უფროსად უნდა იყოს ცოდნა და მერე მენეჯერული თვისებები. განა არ შეიძლება ერთდროულად კარგი მცოდნეც იყო და კარგი მენეჯერიც?!

**დანიშნულებისათვის ასევე უმნიშვნელოვანესია პიროვნების ზნეობრივი სახე, პატიოსნება, უმნიშვნელო რეპუტაცია,** რაც ახლა, სამწუხაროდ, ანაქრონიზმად მიაჩნია. საქართველო პატარა ქვეყანაა. აქ, როგორც ამბობენ, ყველა ყველას იცნობს და ამ კრიტერიუმებით

# მსოფლიო ეს გზა თუ გვიჩვენებს!

## უიქრევი ცნობილ ქართველ მსწერეთა საინიციატივო ჯგუფის მიმართვისა და ბატონ რომან რურუსს წერილის გაყო

ბელია თუნდაც იმიტომ, რომ ამ ადამიანებისადმი გაჩნდეს ნდობა და სიმპათია, არ მოხდეს ხალხსა და მთავრობას შორის გაუცხოება. აქ მთავარია, ხალხმა ასარჩევი პირი თავისიანად, თავისი კაცად, სანდო და საიმედო ადამიანად მიიჩნიოს.

თუ ასეთი ჩამონათვალი ვინმეს კომუნისტებს გაახსენებს, მათ გასაგონად მინდა ვთქვა: კომუნისტებს ყველაფერი ერთნაირად დასაგმობი და მინამინდერი ნამდვილად არ აქვთ. ჩვენში გამეფებული ტოტალური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ გენიალური ჰეგელის დიალექტიკის „მოსხნა-შენახვის“ პრინციპს კი არ მივხდით, რომლის არსი ისაა, რომ რაღაც კერძოდ, რეგრესული, უვარგისი უნდა უკუგვეგდოს და რაღაც ანუ მოწინავე და პროგრესული შეგვეწინააღმდეგოს, არამედ ყველაფერი პირსმინდოდ უკუვადვად და ყველაფერი თავიდან დაიწყო. მე ნამდვილად არ განვეკუთვნიები იმ ადამიანებს, ვისაც ნოსტალგია აქვთ კომუნისტური რეჟიმის მიმართ, რადგან ისინი ისეთ ზერეულ დამოკიდებულებას კადრებისადმი, რომელიც აგერ უკვე ოც წელზე მეტია, იჩენენ, ნამდვილად არ იჩენდნენ, პირიქით, ასეთ დამოკიდებულებას სუბიექტივიზმსა და „ვოლუნტარიზმს“ უწოდებდნენ და სასტიკად აკრიტიკებდნენ.

ამ ფონზე ძალზე კურორტულად გამოიყურება ადამიანების დანიშნულების ის სისტემა, რომელიც სააკაშვილს ჰქონდა. მან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად დანიშნა არაპროფესიონალი, ამ საქმეში სრულიად არაკომპეტენტური ადამიანი, თუმცა, როგორც ამბობენ, ნამდვილად კარგი პურის მცხობელი ვერა ქობალია, განათლების მინისტრებად – ჯერ კახა ლომია, მერე დიმიტრი შაშკინი, ორივე არაპროფესიონალი. რაც შეეხება უმეტესად განათლების მინისტრს, თამარ სანიკიძეს, ამბობენ, რომ ის ბუჭალატე რიყო პროფესიით. მე მგონი, უკეთესი ვითარება არც დღესა და განათლების სამინისტროში. მართალია, მინისტრი ახალი კაცია, მაგრამ თუ მისი გამოსვლებით ვიმსჯელებთ, განათლებაში არსებულ ღრმა კრიზისს იგი ნამდვილად ვერ გრძნობს, რაც თუნდაც იმით დასტურდება, რომ ქება-დიდების სიტყვებს არ იშურებს ყოფილი მინისტრისადმი. ის კი არადა, ყველაფერი გააკეთა, რომ იგი სამინისტროს აპარატში დატოვებინა და ერთ-ერთი მნიშვნელო

ხალხის შერჩევა ძნელი არ იქნება, არადა, დღეს პარლამენტშიც და მთავრობაშიც არიან ციხეგამოვლილი პოლიტიკური პატივები, ცხადია, არ ვგულისხმობ და რაღაც ცუდ საქმეთა კეთებაში ეჭვმიტანილი ადამიანები. აქ ისევე კომუნისტები უნდა ვახსენოთ: მათ ჰქონდათ ასეთი წესი; თუ რიკო მის მდივანს ვინმე იმ დონეზე დაუპირისპირდებოდა, რომ საქმე ფიზიკურ შეურაცხყოფამდე მივიდოდა, ასეთ მდივანს, რაგინდ მართალი უნდა ყოფილიყო, ამ მოხსნიდნენ, ან სხვა რაიონში გადაიყვანდნენ. რატომ? იმიტომ, რომ რაიონის ხელმძღვანელად რეპუტაციაშეუღებელი ადამიანი არ უნდა ყოფილიყო დაფარული: გაუმჟღავნებელი მექრთამეობა და კორუფცია „რეპუტაციის“ შელახვად“ არ ითვლებოდა. თუ თვით კომუნისტებიც კი არ იკარებდნენ რეპუტაციაშეუღებულ ადამიანებს, ჩვენ რა ეშმაკი დაგვეტაკა? წარმოიდგინეთ, რამდენად შეურაცხყოფელია წესიერი ადამიანისათვის ყოფილი ავისმქენელი რომ მოძღვრავს და მორალს უქადაგებს პარლამენტიდან.

მე პირადად უზნეობად მიმაჩნია ზოგი პარლამენტარის „ცანცარი“ ერთი პარტიიდან მეორეში. ადამიანი, რომელსაც აქვს მყარი დირექტივებით ორიენტაცია, ამას არ იზამს, უბრალოდ არ იკადრებს. და იცით რატომ? იმიტომ, რომ, როცა ადამიანი პარტიიდან პარტიოში გადადის, როცა წარამართა იცვლის პოზიციას, ჯერ ერთი, ეს უკვე არასერიოზულია და მეორე და მნიშვნელოვანი - სადაა იმის გარანტია, რომ ამჯერადაც არ შეიცვლის პოზიციას და მოულოდნელად სხვა პარტიაში არ აღმოჩნდება?

ზემოდ მე ცოდნის და გამოცდილების აუცილებლობაზე ვსაუბრობდი. ამაზე რომ ვამახსოვლებ ყურადღებას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დასახლებული კანდიდატები აუცილებლად 40-50 წლისანი ან უფრო მეტისანი უნდა იყვნენ, თუმცა ასეც რომ იყოს, არც ეს იქნებოდა დიდი ცოდვა და დანაშაული.

და, აინიოს ასაკში! ნუ გადავაქცევთ პარლამენტს თინეჯერების საკრებულოდ. ნუ იქნება პარლამენტარობა შრომის წიგნაკის პირველი გრაფა. ახლა ისეთი დროა, რომ ზოგი 25-30 წლის ადამიანიც კი გამორჩეულია - თავისი კრეატიული აზროვნებით, საინტერესო მიგნებებით, ახალი იდეებით, გაკეთებული საქმეებით, ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით. სწორედ ასეთი ადამიანები უნდა დავეძებოთ.

დავეძებოთ ისეთები, რომლებიც მეცნიერებას ეუფლებიან, საინტერესო შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან და სულაც არ ფიქრობენ პარლამენტსა და დანიშნულებაზე.

რაც შეეხება უცხოეთში მიღებულ განათლებას, **ჯერ ერთი**, ამის ხაზგასმა, ნებსით თუ უნებლიეთ, საკუთარი განათლების სისტემის უვარგისობის თვითაღიარებას ნიშნავს (როგორ? თუ საქართველოს უნივერსიტეტდამთავრებულთან ვერაფერი იმსახურებს პარლამენტში ან მთავრობაში მოხვედრას, მაშინ ვის რაში უნდა ასეთი უმაღლესი სასწავლებელი ან ასეთი უმაღლესი განათლება?! და **მეორე**, ძველად, სანამ ევროპისაკენ გზა გაიხსნებოდა, ბევრი ქართველი ახალგაზრდა ამთავრებულ პეტერბურგის, მოსკოვის, ოდესის, ხარკოვის უნივერსიტეტებს, მაგრამ მათგან მხოლოდ ილია ჭავჭავაძე და „თერგდალეულები“ გაშობადგნენ სამშობლოს! კემბრიჯის, ოქსფორდისა და პარიზის უნივერსიტეტები, რომ მავანმა წარმატებით დაასრულა, ეს სულაც არ არის იმის გარანტია, რომ ეს ადამიანი კარგი ორგანიზატორი, ან საქმისადმი ერთგული და თავდადებული ადამიანი იქნება (მით უმეტეს არ ნიშნავს იმას, რომ უეტყვლად გულანთებული მამულიშვილი იქნება). ამდენად, არსებითად არა ის, თუ ვინ რა დაამთავრა, არამედ ის, თუ ვის რისთვის უძგერს გული - თავისი ქვეყნისა და ხალხისთვის, თუ საკუთარი თავისთვის, თავის ოჯახისა და მატერიალური კეთილდღეობისათვის და ა. შ.

პარლამენტში მოხვედრა პარლამენტარობის ოთხი წელი განათლებული, საქმიანი კაცისათვის თავისი ქვეყნისათვის გაღებული ერთგვარი ხარკი უნდა იყოს და არა გამდიდრებისა და ქონების დაგროვების საშუალება. პარლამენტარს მუდმივად უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ იგი, მართალია, დროებით მოწვევებულია თვის ძირითად საქმეს, მაგრამ ამას იგი აკეთებს თავისი ქვეყნის სასარგებლოდ, მისი უანგარო მსახურებისათვის.

პარლამენტარობის ვადის გასვლის შემდეგ თუ ამ ადამიანმა ქვეყნისათვის დიდი თავდადება გამოიჩინა, ხალხმა კიდევ შემდეგი ოთხი წლის „დაკარგვა“ (ანუ ძირითადი საქმიანობისაგან მოწყვეტა) უნდა სთხოვოს. თუ არადა, დაუბრუნდება მის საყვარელ საქმეს, მის პროფესიას და არ ჩააყენებს უხერხულ მდგომარეობაში ხელისუფლებას, რომელმაც არ იცის, თუ სად და რაში დაასაქმოს ყოფილი პარლამენტარი, რასაც დღესდღეობით აქვს ადგილი. პირდაპირ უნდა ითქვას, ეს პრაქტიკა თუნდაც იმიტომ არის საზიანო, რომ, რაკი პარლამენტარი გაითავისებს, რომ პარლამენტის შემდეგაც უბრუნველი ცხოვრება ექნება, ეს კიდევ მეტად გაზრდის უდირის ადამიანების მხრიდან პარლამენტისაკენ ლტოლვას.

თუ გვინდა, რომ პარლამენტშიც და ხელით სუფლებაცაც საიმედო ადამიანები გვყავდეს, **მათი შერჩევის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს მათი ეროვნული სულისკვეთება, მათი პატრიოტული გული და მამულშვილობა** და ეს იმიტომ, რომ შეიძლება ადამიანი განათლებულიც იყოს, კარგი პროფესიონალიც, საქმის მცოდნეც, მაგრამ თუ იგი გულანთებული ქართველი არაა, ქართულ საქმეს ვერ გააკეთებს.

**კიდევ ერთი და, მე მგონი, არც თუ უმნიშვნელო:** მადლობა უფალოს, ჩვენს საზოგადოებას ჰყავს თავისი რჩეული უმცირესობა, მისი ელიტარული ნაწილი, შეუბღალავი ავტორიტეტითა და უმნიშვნელო (უზალო) რეპუტაციით, რომელსაც საქართველოს მთელი მოსახლეობა იცნობს, პატივს სცემს და რომელიც არც პარტიისაკენ მისწრაფვის და არც პარლამენტარობა უნდა. ესენი ჩვენი მეცნიერებისა და ხელოვნების (მთავალჩინოვანი წარმომადგენლები არიან (თუ შორის ბევრი საინიციატივო ჯგუფის წევრია). პარლამენტში შესაყვან ან მთავრობაში დასაინაზურებელ კანდიდატებზე მსჯელობისას, მათი ჩართვა, მათი აზრის გათვალისწინება, მათი რეკომენდაციაც არ იქნებოდა ურიგო?!

პირადად მე მიმაჩნია, რომ ამგვარი მკაცრი სელექციის გზით თუ შევძლებთ საქართველოს პარლამენტისა და ხელისუფლების დაკომპლექტებას იმ ადამიანებით, ვისთვისაც საქართველო და ქართველი ხალხი იქნება უმაღლესი ღირებულება და უპირველესი მიზანი. მხოლოდ ამ გზით მიიღწევა ის ეროვნული თანხმობა პარლამენტში, რომელიც არის მსჯელობა ცნობილ ქართველ მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის ზემოდ დასახლებულ მიმართვაში და ბატონ რომან რურუსს წერილში.

**რევაზ ბალანჩივაძე,**  
პროფესორი,  
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი



# აღაშენა ქართულ სიტყვის ბევრი ხახული და ოშკი...

ამ სტრიქონების ავტორს, მართლაც კეთილშობილ და კოლორიტულ პირთაგანს, გამრავება და გონიერს, ღვთის მოსაგ ქართველს ანზორ ჯაფარიძეს შესანატრი სამეგობრო, დიდებული ტრადიციული ოჯახი, შვილები, შვილიშვილები და მოძღვარი (მამა ამირან ამირანაშვილი) ჰყავს... თელავის რაიონის სოფელ ახატულში ჩამოყალიბდა მისი ზნეობა და მორალი, ღვთაებრივი სიკეთე და შობილიური მიწის სიყვარული. რა თქმა უნდა, შვილივით ნაზარდ ვაზზე გადაგებული კაცია, საკუთარი ტექნოლოგიით ამზადებს ღვინოს და თანამედროვე საბაზრო ეკონომიკასაც მშვენივრად უწყობს ფენს, უფლის ვენახს, საკუთარი მეურნეობიდან მიყვანილი მოსავლით ამარაგებს ეთნოგრაფიულ კვების ობიექტს, დედაქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორან „ანცს“, რომელიც 20 წელზე მეტია, განსაკუთრებით შექმნივებულ აფხაზეთიდან დევნილთა დამპურებული და დამსაქმებელია. 1997 წლიდან მიყოლებული, „ანცში“ ძირითადად დევნილები საქმიანობენ და არჩენენ თავიანთ დარბი ოჯახებს (ამ თემაზე ცალკე მოგიხსენებთ).



სიბრძნის ასაკში იყო შესული ანზორ ჯაფარიძე, როცა ერთ-ერთი გამორჩეული მეგობარი, გვიშტიბელი ბოკაჩიო (თანაც, ქართველ მწერლებში ყველაზე დიდი „გლეხი“) ოტია იოსელიანი შეუჩნდა: საოცარი პოეტური სიღვრეები გაქვს, შენი ნააზრევი ქალაქზე გადაიტანეთ...

როგორც იქნა დაიჯერა, მოკრძალების „სენი“ ჩამოიშორა და ბოლო ათ წელიწადში 4 პოეტური და პროზაული კრებული გამოსცა. მისი შემოქმედების მთავარი თემაა სამშობლო და მრავალტანჯული ქართველი ხალხი, რწმენა და სიყვარული, წინაპრები და თანამედროვენი, უფლის მთავარი საჩუქარი — შვილიშვილები...

წერს ისეთივე უბრალოებით და მოკრძალებით, როგორც თვითონ არის. ჯერა, რომ სიტყვისა და საქმის ერთიანობა, თავდადებული შრომა და


განათლებული, ჯანსაღი ასლაგაზრდობა გადაარჩინს ქვეყანას... დღეს ანზორ ჯაფარიძის რამდენიმე ლექსი ჩვენს გაზეთში პირველად იბეჭდება.

## ბრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის...

მოკლე სიტყვის დიდოსტატს ვაჟა აგონიას!

მოკლე სიტყვა, რომ გრძელსა ჯობს, ყველა მომხიროს ესმის, გრძელ უსტარის მიწერისთვის ბოდიშს უხდის მარქსს ენგელსი... ანდა დიდმა რუსთაველმა ეს სიტყვა ვით შეაფასა, გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, ვეღარა თქვა სხვა ათასმა. მაგრამ ვაჟა აგონიას კი დემერტმა მისცა ძალა, ღონი მისებრ მოკლედ გრძელი სიტყვა აწვის უთქვამს ქვეყნად მგონი... ზოგს წიგნი რომ აღარ ყოფნის, ამყოფინებს ვაჟა სტრიქონს, თანაც ისე აზნაზნებს წარსულ დღეთა იერიქონს, აღაშენა ქართულ სიტყვის ბევრი ხახული და ოშკი, აიეტის სრა სასახლე და ცამცემის ციხე-კოშკი, მოხატა თვალმარგალიტით მათი კედლის ოქროს სისქე და იქიდან გვაამბორა მამა ღმერთს და მის ძე ქრისტეს,

მერე კოლხურ ფსალმუნებით გაგვიტენა ოქროს დილა, და ჩვენ ბედურულ საქართველოს გულში ჩავვახუტა თბილა...



## ნიკა, ზურა და სოსია

ყვავილებში კალა მიყვარს, მაჭეებში ციცო, ილიმება, მზე გამოლკრთის. თვალზე სხივი კრთისო. სუყველაზე მეტად მიყვარს ეს კუდრაჭა ციცო, ზურიკო და ნიკა მიყვარს, ნატვრა ახდა ხვთისო. გამებარდეთ, პატარებო, ანგელოზნო ცისო, ნიკა, ზურა და ციცო — ყველა გულში ზისო; თქვენ ჩვენი მომავალი ხართ, შვილინი მამულისო, იამაყე საქართველოვ, დედა ღვთისმშობლისო, ღვთისმშობელმა დაგვილოცოს ვაუბიც და ქალებიც, ღმერთს ვთხოვ, მედნიერი მყავდნენ, მე მათ ვენაცვალები. ვაჟუკაცები — მამაცები — ავაზისებრ თვალებით, მშვენიერი და ნათელი, სულით წმინდა ქალები... სამშობლოსთვის ირჯებიან, — იმათ ვენაცვალები.

ანზორ ჯაფარიძე, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალღვას“ ნამდვილი წევრი.

## მუზა! მუზა! მუზა!

მამ, შენ ხარ მუზა? შენ — ცისკრის ზავში? შაბაშ, შენს ღონეს, შენს ძალას ვაშა! მამ, შენ მეწყნარავი ყველა გზას ფშავში, რომ ზედ მუხართან დაგება ვაჟა! **ირაკლი აბაშიძე**

მამ, შენ ხედილი აწყვეტილ რამებს? ტატოს მერანი შენ დაგიბია? ემხვარს აეშვა თურმე ულაყი და არზაყანი გადაიჩია.

ვით ქარიშხალი ველზე გასული, აკაკი მღერის, თვით იდილია... დიდი სიბრძნე და დიდი იმედი, მუზავ, გხედნიდა დიდი ილია.

ვის რა ჩაჰმერე, ვის რა ჩაუდგი, ვის დაურღვიე მყუდრო ძილია, მუზავ, როდესაც თავს დაგტრიალებ, თითქოს ვიხილეთ უცხო ხილია...

ჩვეულებრივად გვერს ვერას ვიტყვით, სიტყვის ჩაგრეხვა არადვილია, მუზა რომ მოვა, მოგიალერსებს, უთქმელის თქმაც კი მეტად ტკბილია.

რას მუბუნებდა ვახელი გოგლა, ან რას გვმოძღვრავდა ნონეშვილია, გალაკტიონი ვარდებს მოჰტენდა მუზა რომ ჰქონდა აღერდილია...

არ დაგასვენებს, მიგდრეკს და მოგდრეკს, თუნდ დაკუმულიც გქონდეს პირია, ისე ჩავისვამს პირში მარგალიტს — სულ აღარ გახსოვს, მგონი, ძილია.

როს რუსთაველი სტრიქონს ქარგავდა, თვით იყო ღმერთის ჩამოქნილია, მუზა კი თავზე დასტრიალებდა — არ მისდგომოდა რამე ჩრდილია...

მუზავ ერთი ხარ ლექსის მშობელი, უშენოდ შექმნა არადვილია, შენ უნდა გლოცონ დიდ პოეტებმა, უშენოდ გული დაკოდილია.

## მიხილ ხალაპილს

ვინ შეგქმნა ან ვინ მოგქარგა, რომელი კუთხის გენიამ, ტკბილ ხმაზე თავმოღერებით გულის სიღრმიდან მღერიაან...

სიტყვები გულში ჩამწვდომი მარგალიტები გვერია, ცრემლი ჩამოგვდის სახეზე, მშვიდად მოსმენა ძნელია.

„სახლო არ დაინგრეოდ“ როგორი გულისმკვლეელია. „ცოლო არ გათხოვდებოდ“ — თვალზე მადგება ცრემლია...

მოსმენა, გულგრილად ყოფნა, ოს! ღმერთო, მეტად მწველია! შემოგაჩვენა ფიქრები, დარდი და ბოღმა ვრცელია...

სახლის შენებას, რომ იწყებ აზრები სუფევს ვრცელია, სად ღობოს, საძირკველს ჩადგამ, მიუძღვენ გული, ხელია;

სახლს ქალის ხელი სჭირდება, უქალოდ ყოფნა ძნელია; არჩევ, დადიხარ, ოცნებობ, გრძნობამ დაგრია ხელია,

სახლი და ცოლი ტკბილია, ეს ხომ მრავლისა მთქმელია, „მინდისფერია სოფელი“, დარდმა დამრია ხელია.

რა მოკლე არის ცხოვრება, წუთისოფელი ძნელია, ჯერ შეგაყვარებს, გადაგრეცს, გსურს მოიღერო ყელია;

მერე ალიყურს შემოგვრავს, უცებ მოგწყდება წელია... ჩემსავით გულგატეხილი ალბათ ამ ქვეყნად ბევრია!

„თოფს უნავი შესჭამს, უანგს — მიწა, კაცის გულს დარდი, იარა“ კაცნი ცოდვილნი მოისპენ, ეს არ მომხდარა გვიანა...

„ჩვენ რას წავიდებთ იმ ქვეყნად, სხვას არა წაუღია რა...“ შენმა ლექსებმა, მიხეილ გულს გაგვიჩინა იარა...

## გოდება

ვიწყებთ ოცნებას წარსულზე, შიშის მიჩნდება გაცდა; როგორ ინგრევა ძეგლები — ოშკი, ხახული, ხანძთა.

ფიქრი მკლავს მოუსვენარი, მძიმე მაქვს დარდი, განცდა, ვით შეგვიბილწეს სიწმინდე, ნგრევა დაიწყეს განძთა...

მიტაცებულსა მიწას და ძეგლებს დაუწყეს ძარცვა; აღარ გვაქვს ტაო-კლარჯეთი, დიდი სამკვიდრო ლაზთა!

ჩვენი რწმენა და სინდისი, ჩვენი გული და განცდა, ძეგლებს მივანდეთ, წმინდანებს ჩვენგანაც უნდა დაცვა.

სამშობლოს ვარეთ რაც დარჩა — ოღესდაც ჩვენი გენი, თითქოს შემოკლდა სიცოცხლე დაიმცრა ჩვენი ერი.

გარშემო შემოგვაკვეცეს, მიწა, ჰაერი, წყალი, ჩვენაც მოვეშვით, დადმდამდით, მიტომ დავვიდგა თვალი.

ძმა სომხეთისგან ღორე და თათრისგან საინგილო — გვაჭრეს და გლიჯეს მამული, როგორ არ დავიგმინო!

რაც დარჩა დღეს ჩვენს მიწაზე უფლის სამრძანი სახლი, უცხო თესლი ფლობს, მგრძანებლობს, მოიხრეს როგორც ტახტი.

დავით გარეჯის მიწაზე თათარი ხელეშს გვიქნევს, მესხეთ-ჯავახეთს, სამშვილდეს ვირთხების ჯოგი გვივგრეცს.

## სიკეთი

მადლი ქენი ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება... მოისურვე გულით რაც გსურს, ინატრე და ავიხდება.

სიკეთის მოთეს ღმერთი ლოცავს, გზად გაუფენს მგეს და მთვარეს, გაუმრავლებს ოჯახს, ჯალაბს, მეღელსა და უღელ ხარებს.

მამაკაცებს წვერს შეასხამს, გაუმრავლებს ლამაზ ქალებს, ბოროტსა და შურიან კაცს დაუელმებს ურცხვსა თვალებს.

სიკეთის მქნელს ყველაფერი სიკეთითვე გაახარებს. ბოროტი მუქთად ირჯება — დაისჯება დღეს ან ხვალე.

მიდექ-მოდექ, მადლი ქენი, დამხრობილი გაახარე, მიხედე-მოხედე, მოეფერე მაწანწალებს,

მათ ცხოვრება აერიათ არაფერი არ ახარებთ, იქნებ ხელი წააშველოთ, ღმერთი თქვენამც გაახარებთ.

არ თქვა: მე არ მეხებაო, არ შემრუნდე სულ სხვა მხარეს. მოიხედე, წაეშველე, მადლი ქენი, გაახარე!

თუ სიკეთეს გააკეთებ გულით შენვე გაიხარებ, დაულოცე გულით წმინდით, მუნათით ნუ გაამწარებ.

სიკეთეს უფალი ხედავს, სიკეთითვე გაახარებს. ნუ იქნები უმადური, ცუდს ნურავის დაამზალე.

წინ, საქართველო!

სამი „ოქრო“ ერთ დღეში



გიორგი მელიას (96) გარდა, კვარცხლბე- კის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ოზურგეთელი დავით ჩხარტიშვილი (55), ხელვაშურელი რამაზ ზოიძე (66) და ქუთაისელი ზვიად პატარიძე (120). ამათგან ზოიძე და პატარიძე ზედიზედ მეორედ გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები, თანაც წლეულს ორივემ თანატოლთა ევროპის ჩემპიონატიც მოიგო.

საბარტმელოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ტრიუმფით დაასრულა ასპარეზობა საფრანგეთში გამართულ თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატში. შეგახსენებთ, რომ შეჯიბრების პირველ დღეს ნაკრების მთავარი მწვრთნელის – ზაზა სილაგაძის შეგირდებმა თითო „ოქრო“ და „ბრინჯაო“ მოიპოვეს, მეორე დღეს კი მონაგარს ოთხი წონიდან სამი ოქროს ჯილდო შეჰმატეს. სულ ჩვენებურთა ანგარიშზეა 4 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი, რამაც საქართველოს ნაკრებს საერთო გუნდური პირველი ადგილი (51 ქულა) მოუტანა (საგულსხმოა, რომ ამ ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი შარშანაც თითქმის მსგავსი შედეგით დაასრულა – 4 ოქრო და 1 ვერცხლი ერგო). მეორე-მესამე ადგილები რუსეთმა (40) და ირანმა (34) გაინაწილეს. პირად პირველობაში, სამტრედიელი

ვეტ პაექრობაში იაპონელი იო ნამბას 3:2 აჯობა. ზოიძემ ზედიზედ სძლია ლიტველ კრისტუ- პას სლევიას (6:4), ბრაზილიელ ყოისონ დე ბრი- ტო რამოს უნიორს (12:4), ეგვიპტელ მოჰამედ იბრაჰიმ ელსაიედს (11:1), ირანელ მოჰამედ ჰო- სეინ მორად ელიას (7:5), ფინალში კი ყაზახი კაპრამან კისიმბეტოვი დაჯაბნა (5:1).

მძიმე წონაში ზვიად პატარიძემ კვარცხლბე- კის უმაღლესი საფეხურისკენ უფრო იოლად გა- იკავა გზა: ჯერ ირანელ ამინ მოჰამედზამან მირ- ზაზადს სძლია – 4:1, მერე მშრალი ანგარიშე- ბით აჯობა აზერბაიჯანელ გამზათხან ისრაფი- ლოვს (8:0), უნგრულ ფერენც ალმასისა (9:0) და თურქ ევროპის მესამე პრიზიორ ოსმან ქენან ილ- დირიმს (10:0). წლეულს ზვიადმა თურქ მეტოქეს ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალშიც სძლია.

ლემსო ცინცაძე

სიახლე არასდროს იბვიანება

„გლადიატორთა ბრძოლა“ და არა „საპენალტო ლატარია“...

მვრძობის განვლილ საფეხურთა ჩემპიონატ- ზე საფრანგეთში, სინარჯის შესახებ „გო- ოლი“ სპორტული კომენტატორებიც და გულშე- მატკიერებაც, ყოველი შეხვედრის დროს, საშუა- ლოდ, ორჯერ წამოიძახებდნენ. 60 წლის წინათ კი ეს ქმშარიატად „ჯადოსნური“ ბგერები, საფეხურ- თო შეხვედრის 90 წუთის განმავლობაში, ასევე სა- შუალოდ... ხუთჯერ(!) გაისმოდა!

ფეხბურთში გამარჯვების ფასთან ერთად, ეს ყველასთვის უსაყვარლესი თამაში სულ უფრო მეტად პრაგმატული, დაცვიით ხასიათისა ხდე- ბოდა. ჰოდა, ყველამ კარგად ვნახეთ, რომ გასულ ზაფხულს საფრანგეთის სტადიონებზე, სულ მცირე, ათი თამაში მაინც იყო ისეთი, რომელთა გა- მართვა, ალბათ, არც ღირდა.

„მთავარია შედეგი!“ – ხშირად ამბობენ მწვრთნელებიც და სპორტის ჩინოსნებიც.

„ფეხბურთში მთავარია სანახაობა, თამაშითა და მისი ცქერით განცდილი სიამოვნება, წინააღ- მდეგ შემთხვევაში ეს უკვე ფეხბურთი აღარაა!“ – იტყვოდ ლეგენდარული იოჰან კრუიფი, მაგ- რამ ის, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის...

თამაშიდან სიმხდალესთან „ჩახუტებული“ სიფრთხილისა და ჭარბი რაციონალიზმის მო- ცილება, ალბათ, მისი წესების გარკვეული შეც- ვლით იქნებოდა შესაძლებელი. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ფეხბურთის ფედერაციათა საერთა- შორისო საბჭო, რომლის კომპეტენციაშია აღ- ნიშნული საკითხი, ყოველწლიურ სიახლეს წინა- აღმდეგია.

მაინც, რა წინადადებები აქვთ თამა- შის წესების მოდერნიზების ავტორებს?

პარაგვის ზომის ბაღიფება. გოლის გატანა უფრო ადვილი გახდება, თუმცა კი მეკარეებს ძალიან გაუჭირდებათ.

გაიზარდოს შეცვლების ოდენო- ბა. ახლანდელი სამის ნაცვლად, ვთქვათ, ოთხი ან ხუთი მოთამაშის შეცვლის ნე- ბის დართვა. დასვენებული მოთამაშეები შეძლებენ თამაშს ახალი სიცოცხლე შთა- ბერონ.

გონის სუსტებისთვის. თუკი გუნ- დი დიდი ანგარიშით აგებს, მას მოედანზე მე-12 მოთამაშის გამოყვანის უფლება მი- ეცეს. გაძლიერების შედეგად სუსტ გუნდს თუნდაც რალაც ინტრიგის შექ- მნის შანსი მიეცემა.

თამაშობარ მდომარეობის გაუმჯობესება. ასე მოიქცნენ ბალახის პოკეიში, რის შედეგად თა- მამში გაცილებით მეტი გოლი გადის, თანაც ერთხელ და სამუდამოდ თავი აარიდეს კამათს: „იყო ოფსაიდი თუ არ იყო?“

შპან ბაღატიმის აპრატება. ვარიანტი №1. 1992 წელს მეკარეებს აუკრძალეს საკუთარი მო-

თამაშის მიერ მიწოდებული ბურთის ხელში აღე- ბა. შეიძლება უფრო შორს წასვლა: მინდვრის მოთამაშეებს საერთოდ აეკრძალოთ მეკარისთ- ვის პასის მიცემა.

ვარიანტი №2. ისევე რადიკალურად მოქ- ცევა, როგორც ეს კალათბურთში გაკეთდა: მო- ედნის შუა ხაზის გადასვლის შემდეგ მოთამა- შეებს საკუთარ ნახევარზე პასის გაკეთების უფლება აღარა აქვს. უკან გადაცემის აკრძალ- ვის შემდეგ ფეხბურთი სანახაობრივად გაცი- ლებით უკეთესი გახდება.

ფანის, ან არა ხელით. აუტის მოწოდე- ბა იყოს არა ხელით, არამედ ფეხით. ამ შემთხვე- ვაში მოთამაშეები ყოველ სახიფათო მომენტში ბურთის აუტში გადაგდებას მოერიდებიან.

შეიცვალოს ქულების დარიცხვის სისტემა. 1981 წლიდან მოქმედი წესით, გამარჯვებისთვის გუნდს, ანგარიშის მიუხედავად, 3 ქულა ეწერება. მაგრამ, თუკი დიდი ანგარიშით მოგებისთვის გა- მარჯვებული დამატებით ქულას იმორებს, შედე- გიანობა გაიზრდება.

დამატებითი დროისა და პენალტების სერიის რეფორმა. ვარიანტი №1. თუკი შეხვედრის ძირითადი დრო უშედეგოდ დამ- თავრდა, დამატებით ორი 15-წუთიანი ტაიმის გარეშე მაშინვე პენალტების სერიის დანიშნე- ნა. ეს გუნდებს აიძულებს „ერთმანეთთან ანგა- რიში“ 90 წუთში გაარკვიონ.

ვარიანტი №2. პენალტების სერიის საერთოდ გაუქმება. თუკი თამაშის 90 წუთი უშედეგოდ



დასრულდა, შემდეგ ყოველ ხუთ წუთში მოედ- ნიდან თითო მოთამაშის გაყვანა – 11-ე წუთის- თვის ორივე გუნდში 6-6 მოთამაშე დარჩება.

„მაშინ კი ჩვენ გლადიატორთა ბრძოლას და არა „პენალტების ლატარიას“ ვნახავთ“. ამბობს ამასთან დაკავშირებით ჰოლანდიელი მწვრთნე- ლი ლუი ვან გაალი.

დალი ხუნდაძე

კალათბურთი

„ჯაპროსნება“ ალბანეთის ბანაღბურებით დაიწყო

საბარტმელოს ეროვნულმა ნაკრებმა 39-ქული- ანი გამარჯვებით დაიწყო ევროსაკვალიფიკაციო ტურნირი. ილიას ზუროსის განვრთნილი გუნდის მე- ტოქე ალბანეთი გახლდათ, რომელსაც ქართველებ- მა ისე მოუგეს, კარგი ვარჯიში გამოუვიდათ.

ალბანეთის ნაკრები ალიარებული აუტსაი- დერია და მასთან მატჩები ილიას ზუროსის თა- მამის ტაქტიკის დასახვეწად, ნაკრების წევრებს კი შესათამაშებლად და გამოცდილების მისაღე- ბად გამოადგებათ. ეს უფრო ახალგაზრდებზე ითქმის, რომლებმაც სასტარტო მატჩში საკმარი- სად და საკმაოდ შედეგიანადაც ითამაშეს, ნაკ- რების გამოცდილმა მოთამაშეებმა კი საკუთა- რი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ გამოავლი- ნეს – მაყურებელმა ერთი მატჩისთვის რეკორ- დულად ბევრი ცინცაძე-სანიკიძის საფირმო და ულამაზესი კომბინაცია იხილა: უკანახაზელის დაკიდებულ პასი პერიმეტრიდან და სანიკიძის პაერიდან ერთი მოძრაობით ჩატენილი ბურთი.

სანიკიძემ საბოლოოდ 20 ქულა მიითვალა და უფრო მეტი ბურთი ჩაატენა, ვიდრე ჩააგ- დო. უმეტეს შემთხვევაში მისი ასისტენტი გი- ორგი ცინცაძე გახლდათ, რომელსაც ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა – 9 ქულა და 9 პასი მიითვალა. აღნიშნული მატჩი ისეთი ყა- იდის იყო, რომ გამარჯვებულის საკითხი გა- სარკვევი არ ყოფილა და ზუროსმაც სხვადასხვა კომბინაციების დამუშავებასთან ერთად საქ- მეში ახალგაზრდები იხილა. მით უფრო, რომ მოედანზე არ გასულა ამერიკელი ლეგიონერი მაიკლ დიქსონი, რომელსაც ნატკენი მუხლი აღარ აწუხებს, მაგრამ უსაფრთხოების მიზნით ბრძოლაში ჩართვა არ გარისკა.

სასტარტო ხუთეულში იყო და რიგიანად გაისარჯა თორნიკე შენგელია, რომელსაც ასე- ვე ტრავმა აწუხებდა და რუსეთთან 14 აგვის- ტოს მატჩის შემდეგ შედეგითან და პოლონეთ- თან ამხანაგურ შეხვედრებში არ უთამაშია. შენგელიამ მატჩი 12 ქულითა და 6 მოხსნით და- ასრულა. 11 ქულა ახალგაზრდა ბექა ბურჯა- ნაძის ანგარიშზე დაგროვდა, რომელმაც სა- მაგალითოდ იბრძოლა და გამარჯვებაში სო- ლიდური წილი დაიღო. შესანიშნავად გაისარ- ჟა სათადარიგო ბესო ლუჟავა, რომელმაც მო- ედანზე 20 წუთზე ოდნავ მეტი გაატარა და 10 ქულა მოაგროვა.

9-9 ქულა ერთბაშად სამმა კალათბურთელ- მა – გიორგი შერმადინმა, ზემოთნახსენებმა ცინცაძემ და დუდა სანაძემ მიითვალეს. ნაკრე- ბის კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ შეტევაში ძალე- ბი დაზოგა და 6 ქულას დასჯერდა, თუმცა, 6 მახვილგონივრული პასი გაჩარხა, რასაც 8 მოხ- სნა, 2 ჩაჭრა და ამდენივე დაფარვა მოაყოლა.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებს კარგი ვარჯიში გამოუვიდა სლოვაკეთთან სე- რიოზული დაპირისპირების წინ. ილიას ზურო- სის გუნდი ავსტრიაში გუშინ გამთენიისას გაფ- რინდა, საიდნავ სლოვაკეთის დედაქალაქში ავტობუსით ჩავიდა და პირველი სოლიდური ბრძოლისთვის ემზადება. სლოვაკეთი საქარ- თველოს ხვალ უმასპინძლებს.

ნამატჩეს მწვრთნელებმა შემდეგი კომენ- ტარები გააკეთეს:

ანტონის კონსტანტინიდიის (ალბანეთის მთავარი მწვრთნელი):

– ამ ჯგუფში ჩვენთვის ყველაფერი რთულა- დაა. სამწლიანი უმოქმედობის შემდეგ პირვე-

ლი ოფიციალური შეხვედრა სწორედ თბილისში ჩაატარეთ, ოთხი წამყვანი კალათბურთელი გვაკლია. მათ ნაკრებში თამაში იუარეს. ახალ- გაზრდებით, ნახევრად პროფესიონალებით ვცდილობთ ფონს გასვლას, მათ კი პირველივე მატჩში შენგელიას, სანიკიძის, ფაჩულიას წინა- აღმდეგ მოუწიათ მოედანზე გასვლა...

ილიას ზუროსი (საქართველოს მთავარი მწვრთნელი):

ალბანეთთან შეხვედრაში საშუალება მოგ- ვეცა დიქსონი დაგვეზოგა. იგი შემდეგი მატ- ჩებისთვის უფრო გვეჭირდება. ალბანეთი მო- ვისტუმრეთ და ახლა უკვე სლოვაკეთზე ვფიქ- რებთ. მეტოქე კარგად გვყავს შესწავლილი. ვი- ცით, მძიმე ბრძოლა გველის, თუმცა, საამისოდ მზად ვართ.

F ჯგუფის მეორე მატჩში მონტენეგრომ სლოვაკეთს უმასპინძლა და 32 ქულით – 97:65



სძლია. ეს ორივე გუნდი ჩვენი ნაკრების კონ- კურენტები არიან, თუმცა, როგორც სავარაუ- დო იყო, ექს-იუგოსლავიური გუნდი გაცილე- ბით ანგარიშგასანევი ძალაა, რაც პირველი ტურის მატჩში დადასტურდა.

მეტოქის სისუსტიდან გამომდინარე, მას- პინძელთა თავკაცმა განაცხადაში მყოფ თორ- მეტივე კალათბურთელს საკმაო დრო დაუთ- მო, მათგან ხუთმა კი 11 და მეტი ქულა ჩააგდო.

მონტენეგროელთაგან საუკეთესო 28 წლის მსუბუქი ფორვარდი ვლადიმირ დამიჩი იყო, რომელმაც ოც წუთში 17 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ორმაგ დუბლს (13 ქუ- ლა, 10 მოხსნა) უნია 24 წლის მძიმე ფორვარ- დმა მარკო ტოდოროვიჩმა.

მასპინძლებმა სანყის 3 მეოთხედი დამაჯე- რებლად ჩაატარეს, დასკვნითი ათწუთეული კი 20:21 დათმო. მათ სტუმრებს მოხსნებში 45:28 აჯობეს, პასებში კი – 28:14. სლოვაკთა რიგე- ბში საუკეთესონი მიხაელ ბატკა (14 ქულა, 8 მოხსნა) და ბორის ბოიანოვსკი (12 ქულა) იყვნენ.

ხვალ მონტენეგრო ალბანეთში ითამაშებს, სლოვაკეთი კი საქართველოს უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

ხელვაშური

სეზონს პორტუგალიაში ვხსნი

საბარტმელოს ჩემპიონი და თასის მფლობე- ლი, ხელბურთის კლუბი „შავი ზღვის ბიჭები“ ახალ სეზონს 3-4 სექტემბერს იწყებს პორტუგა- ლიაში – ბათუმელები ევროპის ხელბურთის ფე- დერაციის თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპ- ზე „პორტუს“ ეთამაშებიან.

უკვე გარკვეულია ამ წყვილში გამარჯვე- ბულის მეტოქე მეორე ეტაპზე – სლოვენის „კოპერი“. სამი საკვალიფიკაციო რაუნდის შემდეგ 16 გუნდი ბრძოლას ჯგუფურ სტადი- აზე გაატარებებს, მეოთხედფინალიდან კი ტურნირი ისევ პლეი-ოფის ფორმატით გაგრძელდება.

ბათუმის გუნდმა სეზონისწინა მზადება გა- იარა, შარშანდელი შემადგენლობა შეინარჩუნა და 4 მოთამაშე დაიმატა: გიორგი სამყურაშ- ვილი, შოთა გრიშკაშვილი, გიორგი კვერნაძე („ქუთაისი“) და ირაკლი გოგოლაძე („სამტრე- დია“). ორივე მატჩი პორტუში, „დრაგაო კაი-

სას“ არენაზე გაიმართება 3 და 4 სექტემბერს. ამგვარი პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია ევროტურნირებზე – EHF თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის 15 წყვილიდან 6 სწო- რედ ამ ფორმატით ითამაშებს.

ზღვისპირელთა მეტოქეს „პორტუს“ ორ- ჯერ უთამაშია ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, მათ შორის – წინა სეზონში. „პორტუს“ ქვეყნის 20-გზის ჩემპიონია და 2009-15 წლებ- ში ზედიზედ მოიგო 7 ტიტული, თუმცა, ბოლო სეზონში პირველობა „ბრაგას“ დაუთმო.

წლევიანდელ ევროტურნირებზე საქართვე- ლოდან მეორე გუნდიც მონაწილეობს. ქალთა ჩელენჯ კაპის მეთექვსმეტედფინალში თბილი- სის „მამული“ ჩეხეთის „სოკოლ პორუბას“ შეხ- ვდება. პირველი მატჩი 12 ან 13 ნოემბერს ოს- ტრავაში გაიმართება, საპასუხოდ – 19 ან 20 ნო- ემბერს თბილისში.

გიორგი შოთაძე

# შიდა ტურიზმი პოპულარული ხდება


**პრომეთის მღვიმე, მარტვილის კანიონი, ოკაცეს კანიონი, - ეს საქართველოს ის თვალწარმტაცი ადგილებია, სადაც ვიზიტორთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. თუმცა მართო უცხოელების ჩამოსვლაზე აქცენტის გადატანა არასაკმარისია და საინტერესოა, ვიყენებთ თუ არა საქართველოში შიდა ტურიზმის პოტენციალს?**

ამის შესახებ For.ge-ს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ტურიზმის ექსპერტი გიორგი ძეგვიძე უპასუხებს.

— ათი წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით ჩვენს ქვეყანაში შიდა ტურიზმი სულ უფრო პოპულარული ხდება, რაც განსაკუთრებულად ეხმარება მაღალმთიან რეგიონებში შერჩენილ მოსახლეობას და მათ შემოსავლის წყაროს უზრუნველყოფს. თუმცა მაინც მიტოვებულია საქართველოს ულამაზესი ეროვნული პარკები. ბოლომდე რატომ ვერ ვიყენებთ შიდა ტურიზმის პოტენციალს?

— თუ გადავხედავთ შიდა ტურიზმის სტატისტიკას, ყველაზე მეტი შიდა დამსვენებელი, შიდა მოგზაური ძირითადად შავი ზღვისპირეთში მიემართება. ისინი უფრო მეტად ზღვაზე დასვენებით შემოიფარგლებიან. ჯერ ვერ მივედით იმ დონემდე, რომ სხვა მარშრუტებზეც გავაკეთოთ აქცენტი, თუნდაც ღვინის ტურებზე, თუნდაც მთიან რეგიონზე — სვანეთზე, ხევსურეთზე, თუშეთზე. ამის პოტენციალი გაგვაჩნია.

თქვენ ასევე პრომეთს მღვიმე, ჩემი აზრით, აქ უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო. მოგესვენებათ, პრომეთის მღვიმე მდებარეობს წყალტუბოში, ის დაცულ ტერიტორიებს ეკუთვნის და საკმაოდ კარგად არის მოწყობილი. დაცულ ტერიტორიებს შორის ვიზიტორთა ყველაზე დიდი ნაკადი სწორედ პრომეთის მღვიმეს ჰყავს. მე თუ მკითხავთ, უფრო ინფორმაციის ნაკლებობის ამბავია, რომ გაცილებით მეტი ვიზიტორი არ სტუმრობს ამ ადგილებს. კი, ყველამ იცის პრომეთის მღვიმე, მაგრამ ჩვენს მოსახლეობას უფრო ზუსტად უნდა მივანოლოთ ინფორმაცია, რომ, თუ ზაფხულში მიდიან ზღვაზე, შეუძლიათ, გაიარონ პრომეთის მღვიმეში. ანუ მარშრუტს ლოგიკურად თუ მიანვიძი ჩვენს



**რამდენად მიმზიდველია შიდა ტურიზმისთვის? სხვათა შორის, წელს გაცილებით მეტი ხალხი სტუმრობდა ლაგოდეხის ნაკრძალს.**

— ზაფხულის პერიოდში კახეთი შიდა ვიზიტორებს შორის ნაკლებად მონახულებადია, თუ არ ჩავთვლით ლაგოდეხის ნაკრძალს. ვფიქრობ, ნელ-ნელა იზრდება შიდა ვიზიტორთა რიცხვი, მათი რაოდენობა არ არის გაჩერებული და არ იკლებს.

**— ცოტა ხნის წინათ წამოიწყო კამპანია „აღმოაჩინე საქართველო შენს სოფელში“. გაამართლა ამ პროექტმა?**

— მე მგონი, არ გაამართლა. გაცილებით უკეთესია პირადი ინიციატივა. მაგალითად, ჩემი სტუდენტები თვითონვე გეგმავენ ტურებს და თავის მეგობრებთან ერთად გარს უვლიან მთელ საქართველოს. უკვე მოდაშიც შემოვიდა, რომ უნდა წახვიდე სვანეთში. იმავე კანტონი არის რამდენიმე შესანიშნავი ადგილი ყვარლის ტბაზე, ლოპოტაზე, ასეთი ბევრი ადგილია კახეთში, მიუხედავად იმისა, რომ კახეთი მაინცდამაინც არ არის ზაფხულის საკურორტო ზონა. რა თქმა უნდა, თუ შეით ცალკე რეგიონია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ გზა არ თულებს საქმეს. როცა გზა გაკეთდება, ნამდვილად გაიზრდება ვიზიტორთა რაოდენობა.

**— უცხოელებთან შედარებით, ჩვენს მოქალაქეებს დასვენებად ზოგჯერ თანხები არ ჰყოფნით. ქართველების ფინანსური სიმწირით ხომ არ აიხსნება, რომ შიდა ტურიზმი ისე მძლავრად არ არის განვითარებული ქვეყანაში?**

— ჩვენი მოქალაქეების პასიურობა ამასაც უკავშირდება. მე მგონია, რომ ჩვენს ხალხში მაინც ნაკლები ცნობიერებაა ტურისტული ადგილების შესაცვლელად. ცხადია, ეკონომიკური მდგომარეობაც გასათვალისწინებელია. ერთი წლის განმავლობაში ადამიანი ფულს აგროვებს, რომ წავიდეს ზღვაზე და იმის იქით ვერ ხედავს ვერაფერს.

**— ხშირად გვსმენია, რომ თურქეთსა და ეგვიპტეში დასვენება გაცილებით იაფია, ვიდრე საქართველოში. ეს შიდა ტურიზმსაც შეეხება?**

— ესეც გავრცელებული თემაა, რომ საქართველოში ყველაფერი ძვირი ღირს, ამიტომ უცხოეთში არჩევენ დასვენებას. ზღვის პოტენციალს რაც შეეხება, შესაძლოა, მართლაც უფრო იაფად დაისვენოთ თურქეთსა და ეგვიპტეში ზღვაზე. მით უმეტეს, თურქეთში მომსახურება გაიფხვრა და ხარისხიც უკეთესია. მაგრამ, თუ ზღვის ნაცვლად მთაში გვიწევს დასვენება, საქართველოში დასვენება ბევრად იაფი დაჯდება. თუ ჩვენ ვაპირებთ სვანეთში ან ალპებში წასვლას, ცხადია, სვანეთი გაცილებით ხელმისაწვდომია.



შიდა მოგზაურს, გაცილებით მეტი ადამიანი მოინახულებს პრომეთის მღვიმესაც და ოკაცეს კანიონსაც.

ოკაცეს კანიონიც იმერეთშია, ხონშია და იქიდან ძალიან ახლოა მარტვილამდე, სადაც ახლად გაკეთებული, კარგად გამართული მარტვილის კანიონია. მარტვილი პიარის გაკეთება შეიძლება, „მიდიხარ ბათუმში? — გაიარე პრომეთის მღვიმეში... მარტვილის კანიონში“. ზღვაზე წასვლაში ეს არ შეუშლით ხელს, სულ რამდენიმე საათს დახარჯავენ ამისთვის და ეს დროის დაკარგვა არ იქნება. ისევე, როგორც უნდა მოინახულონ ჭიათურაში მდებარე კაცხის სვეტი. თუ მიდიან დასავლეთში, შავი ზღვისპირეთში, შეუძლიათ, რიკოთის გადატვირთულ გზებზე არ იარონ და საჩხერე-ჭიათურის გზით წავიდნენ, ნახონ მღვიმევის მონასტერი, კაცხის სვეტი, გადახვევა არსად სჭირდებათ.

— თქვენ დასავლეთ საქართველოზე აკეთებთ აქცენტს, აღმოსავლეთ საქართველო

### სანთელი

და მზია წულუკიძე, სიძე ზურაბ, დისშვილები დათო, ეკა გამეზარდაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

#### მერაბ სამსონის ქაბრაღიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

## სიღარიბის მაჩვენებლები მსოფლიო

მსოფლიო ბანკის მნიშვნელოვანი კვლევის „სიღარიბის შემცირების უკანასკნელი ტენდენციები საქართველოში“ თანახმად, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები 4 წლის განმავლობაში ზედიზედ მცირდება.

კვლევის თანახმად, 2014 წლისთვის ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 32.3 (1.4 მლნ.) პროცენტია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, როდესაც ეს მაჩვენებელი 2013 წელს 36 პროცენტს (1.6 მლნ-ს), 2012 წელს 42.5 პროცენტს (1.9 მლნ-ს), ხოლო 2011 წელს 44.8 პროცენტს (2.0 მლნ-ს) უტოლდებოდა.

2012 წელთან შედარებით 2014 წელს დაახლოებით 500,000-მა ადამიანმა დააღწია თავი უკიდურეს სიღარიბეს.

2010-2014 წლებში სიღარიბის მაჩვენებლების შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება 2010 წლამდე არსებული მდგომარეობისგან, როცა სოციალური ტრანსფერები თამაშობდა უფრო მნიშვნელოვან როლს სიღარიბის შემცირებაში.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია მთავრობის პოლიტიკა, რომლის მიზანია სიღარიბის მაჩვენებლის შემცირება მოსახლეობაში.

მსოფლიო ბანკის მიერ სიღარიბის შემცირების მამოძრავებელ ფაქტორებად დასახელდა - ეკონომიკურ შესაძლებლობებზე ინკლუზიური ხელმისაწვდომობა, სოფლის განვითარებაზე მეტი ყურადღება და ფისკალური პოლიტიკის როლი.


ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო ბანკის შეფასებით, სიღარიბის მაჩვენებლის შემცირება კვლავ გაგრძელდება შემდეგ წლებშიც და 2018 წლისათვის 6.8 პროცენტული პუნქტით შემცირდება და სიღარიბის ზღვარს მყოფი მოსახლეობის მაჩვენებელი 25.5 პროცენტს გაუტოლდება.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, სიღარიბის მაჩვენებლების შემცირებაზე დადებითად მოქმედებს მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, კერძოდ, 2010 წელთან შედარებით 2014 წელს ქვეყანაში 8%-ით გაიზარდა შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ შემოსავლების ზრდა თბილისის გარდა, ასევე, მნიშვნელოვნად მაღალი დაფიქსირდა, როგორც ქვეყნის სხვა ქალაქებში, ასევე სოფლად.

მსოფლიო ბანკის შეფასებით სიღარიბის შემცირების ფაქტორებად საშუალო თვიური შემოსავლის ზრდა (8%), ეკონომიკური აქტივობა (11.1%) და ტრანსფერები (8.57%) სახელდება.

აღსანიშნავია, რომ 2010-2014 წლებში ზრდა დაფიქსირდა ეკონომიკის ყველა სექტორში. ეკონომიკურმა ზრდამ კი ასახვა ჰპოვა როგორც ხელფასების ზრდაში, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, განსხვავებით 2010 წლამდე პერიოდისგან. ეკონომიკურმა ზრდამ ასევე ხელი შეუწყო ეკონომიკურ შესაძლებლობებზე ლარების ხელმისაწვდომობის ზრდას. 2010-2014 წლებში ლარობთა დასაქმების დონე გაიზარდა 50.7%-დან 56.6%-მდე, თუმცა შემცირდა ლარი დასაქმებულთა რაოდენობა, რადგან თვითონ ლარიბი მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა.

მსოფლიო ბანკის კვლევა ასევე ყურადღებას ამახვილებს 2006-2014 წლებში სიღარიბის დონის შემცირებაზე სოფლად, რაც პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას სოფლად და სოფლის მეურნეობის სექტორში. ამასთანავე მოხდა სოფლად დასაქმების ზრდა არასასოფლო-სამეურნეო სექტორშიც (მათ შორის: მომსახურების, მშენებლობის და მრეწველობის სექტორში).



## სეპის მოჭრასთან დაკავშირებით გამოსხალებული მოკატორიუმი გაგრძელდება

თბილისის მერის განცხადებით ხეების მოჭრასთან დაკავშირებით გამოცხადებული მორატორიუმი ახალი რეგულაციის მიღებამდე გაგრძელდება.

„მინდა, დავაზუსტო, რომ მორატორიუმი ეხება მხოლოდ და მხოლოდ ხეების მოჭრას. აქ არ იგულისხმება დაავადებული ხეების მოჭრა, რაც ისედაც აუცილებელია და ამზე მორატორიუმი არ გავრცელდება. ჩვენ დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას გუშინ მივანოდე თამის შესახებ ინფორმაცია. პროფესიული წრეები მაქსიმალურად არიან ამ პროცესში ჩართული“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისივე თქმით, ახალი რეგულაციები განსხვავებული ფორმით დაარეგულირებს ქალაქში ურბანული განვითარების კონტექსტში ხეების ჭრასთან დაკავშირებულ საკითხებს.

## „ლიბერთი ბანკის“ გლდანის ფილიალი დააყარა


დღეს დღით „ლიბერთი ბანკის“ გლდანის ფილიალი დააყარა. ადგილზე ექსპერტ-კონსტრუქტორები მუშაობენ და ჯერჯერობით უცნობია, რა რაოდენობის თანხაა ბანკიდან წაღებული. მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 179-ე მუხლით მიმდინარეობს.

### რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“  
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

რაც კარგია, კარგია!

„უნივერსიტეტი“ - თბილისის 23-ე მეტროსადგური



თბილისში 23-ე მეტროსადგურ „უნივერსიტეტისთვის“ ესკა-ლატორებს ოქტომბრის დასაწყისში გერმანიიდან ჩამოიტანენ, ხოლო სადგურის მშენებლობას ესპანურ-იტალიური ერთობლივი საწარმო ASSIOMA KOBRA ახორციელებს. ობიექტზე ამ დროისთვის სადგურის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ განაცხადა, დედაქალაქის სხვა მეტროსადგურებისგან ახალი სადგური გამორჩეული იქნება თავისი თანამედროვე სტანდარტებით, ასევე, ადაპტი-

რებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

„ახალი მეტროსადგურის მშენებლობა 2015 წლის მაისში დაიწყო, გეგმა-გრაფიკს მიყვებით. მშენებლობას, სავარაუდოდ, 2017 წლის მაისში დაიწყებენ. მცირე ცვლილებები შევიდა პროექტში, დაემატა დამატებითი ფუნქციები. მეტროსადგურს სანდრო ეულის ქუჩაზე ოთხი ჩასასვლელი ექნება. განსხვავებული იქნება ჩასასვლელიდან და სადგურის დიზაინც“, - აცხადებს ჯუანშერ ბურჭულაძე.

დედაქალაქში სწრაფი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად, ახალი მეტროსადგურის მშენებლობას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, „აზიის განვითარების ბანკის“ დაფინანსებით ახორციელებს. პროექტის ღირებულება 83 მილიონ ლარია.



ახალი გზა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ალპანამისონის უღელტეხილის ალპანა-ჭრებლოს 18-კილომეტრიანი მონაკვეთის (კმ50-კმ70) რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტის (SLRP III) ფარგლებში ხორციელდება.

სარეაბილიტაციო მონაკვეთი მდებარეობს ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე და გაივლის 12 სოფელს: ალპანა, აჭარა, ზოგიში, ცაგერა, ზემო, საირმე, ქვემო საირმე, ჭრებლო, ზედა ღვარდია, ქვედა ღვარდია, ზედა ჭყვიში, ჭყვიში, ქვიშარი.

პროექტით გათვალისწინებულია გზის საფარის აღდგენა და ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა; ხელოვნური ნაგებობების, მათ შორის მონაკვეთზე არსებული რკინა-

ბეტონის ხიდის რეაბილიტაცია; გაბიონების, ბეტონის საყრდენი კედლების, კიუვეტების, ადგილობრივ გზებთან მიერთებისა და მოსახლეობის ეზოებში შესასვლელების მოწყობა; ასევე, განხორციელდება გზის შემოფარგვლა, ტროტუარების, საგზაო ნიშნების, ქვეითად მოსიარულეთა ხელოვნური ბილიკების, ავტობუსილიონებისა და ავტობუსის გასაჩერებელი მოედნის მოწყობის სამუშაოები.

პროექტის ღირებულება 10 142 652 ლარია. სამუშაოები მიმდინარე წლის მაისში დაიწყო და 2017 წელს დასრულდება.



კათილოპეუო „მაიაკოვსკის ბაღი“

თბილისის მერმა დავით ნარმაიამ მაიაკოვსკის ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. ბაღში დაიგო ქვაფენილი, მოეწყო ბორდიურები, განასხლდა შადრევანი და სხვა-ფორმირება ჩაუტარდა მრავალწლოვან ხეებს. დიდუბის რაიონის გამგეობამ ბაღში ასევე მოაწყო საბავშვო გასართობი კუთხე. იწყება რეალური გაზონის დაგება. „მაიაკოვსკის ბაღის აღდგე-

ნა ამ წლის გაზაფხულზე დაიწყო. მოსახლეობა დიდი ხნის განმავლობაში ელოდებოდა ამ პროექტის განხორციელებას. სკვერი აღდგება მთლიანად, ეწყობა მწვანე საფარი, ბავშვებისთვის სათამაშო მოედანი, რომელიც თითქმის დასრულებულია, კეთდება ასევე სარწყავი სისტემა. შემოდგომისთვის დაირგვება მცენარეები. უახლოეს ორ კვირაში დასრულდება ყველა ძირითადი სამუშაო“, - განაცხადა დავით ნარმაიამ.

სკვერის რეაბილიტაციით სავსე 480 ათასი ლარი დაიხარჯება დასამუშაოები 15 სექტემბერს დასრულდება.



კლინიკი წვიმა გათუფი

ბათუმის მერიის ინფორმაციით პრობლემები ძირითადად იმ მონაკვეთებზე შეიქმნა, სადაც წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია ჯერ არ დასრულებულა, ან მომავალში უნდა ჩატარდეს. პრობლემები შეიქმნა აგრეთვე ცენტრალურ მაგისტრალზე ჩაქვში, მახინჯაურსა და თამარის დასახლებაში. საგანგებო რეჟიმში მუშაობს შპს „ბათუმის წყალი“. მორიგე ბრიგადები ახორციელებენ უწყვეტ მონიტორინგს უბნების მიხედვით. ხორციელდება წყლის ამოტუმბვითი სამუშაოები. სანიაღვრე წყლების სწრაფი გადინების მიზნით გასწავლილია ზღვაში გამსვლელი ყველა არხი.

ჩაისუნებისა და ჩაქვის სათავე ნაგებობებზე წყლის ამღვრვის გამო წყალმომარაგება შეწყვეტილი აქვთ ე.წ. ძველი ქსელის აბონენტებს. წყალმომარაგება წყლის დონის დაწვევისა და წყლის დანმენდისთანავე აღდგება.

გადაადგილების პრობლემა არ შექმნია სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადებს. რეგულარულ რეჟიმში მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

კრიზისალი

თბილისში, ტაქსის კომპანია YANDEX TAXI-ის იკოლს სსიპს

რუსული ტაქსის კომპანია Yandex Taxi-ის ერთ-ერთ მძღოლს სცემეს. ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „იმედი“ ავრცელებს. დაზარალებულის თქმით, თავდამსხმელი კლიენტი არ ყოფილა და ის გაჩერებულ მანქანაში დაესხა თავს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბრალდებული წვრილმანი ხულიგნობის მუხლითაა დაკავებული.

ცნობისათვის, კომპანიას მოსახლეობა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის დარღვევაში ადანაშაულებს, რადგანაც Yandex Taxi-ის რუკაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები ცალკე ქვეყნებად არის აღნიშნული.

უკანონოდ გაჩხილი ნინოპონები

ბარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა უკანონოდ მოქმედი სახერხი საამქრო გამოავლინეს.

შუახვევის რაიონის სოფელ სხეფში მოქმედი ერთ-ერთი სახერხი საამქრო არ არის რეგისტრირებული მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში. დაურეგისტრირებელი სახერხი საამქროს ტერიტორიაზე დასაწყობებული იყო წინვოვანი სახეობის 12 ცალი მორი.

სახერხი საამქრო დაილუქა.

ღელა ღანით ღაჭრა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წარსულში რამდენჯერმე ნასამართლვეი შმაგი ხაჩიროვი დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 111-120-ე მუხლით.

სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ 2016 წლის 9 ივლისს დაახლოებით 14:20 საათზე, შმაგი ხაჩიროვი დედასთან ნ. თ.-თან ერთად ქ.თბილისში, მშვიდობის ქუჩაზე მათ საცხოვრებელ ბინაში იმყოფებოდა. ნასვამ მდგომარეობაში მყოფ შმაგი ხაჩიროვსა და დედამის შორის საყოფაცხოვრებო ნიადაგზე კონფლიქტი წარმოიშვა, რა დროსაც შმაგი ხაჩიროვმა სამზარეულოს მაგიდიდან დანა აიღო და ნ. თ.-ს მარცხენა წინამხრის არეში მიაყენა ჭრილობა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ შმაგი ხაჩიროვი სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განუხაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA სულხან-საბაძე ქ. №3

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულაძე 293-13-34 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანი 599 53-76-16; ალექო ასლანი 599 56-81-86;

რუსლან რუსია 599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაძიძე 514 33-33-24

გამომცემელი: შპს „თანადგომა“-1 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79

შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

ISSN 2233-3851



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უენი გაზეთია, აუსილებლად წაიკითხე!

Table with subscription rates: უსსოპი ვალუტის კურსი: აშშ დოლარი - 2.306; ევრო - 2.569; ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.030; 100 რუბლი - 3.535; თურქული ლირა - 0.780; აზერბაიჯანული მანათი - 1.361; 1000 მოსკოვი დრაბი - 4.861.

Table with contact numbers: აიონლი 2 სექტემბერისთვის: აკომუნალური სამსახურები: ბაზი - ღაგე +16, ღღე +29; შიანი რაიონი - ღაგე +9, ღღე +27; დასავლეთი სამსახურები: ბაზი - ღაგე +16, ღღე +28; შიანი რაიონი - ღაგე +10, ღღე +26; თბილისი: ღაგე +20, ღღე +28.

დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 WWW.SAKRESP.GE